140
2000 №7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაკადული 2000




შენ და მშობლები ◆ მდიდარია ის, ვინც საქმეს ქმნის ◆ სიგარეტი სიკვდილით ემუქრება 250 მილიონ ბავშვს ◆ „ორერა 2000" ◆ ნუ გეშინიათ, ჩვენ რამეს მოვიფიქრებთ! ◆ სიცილის გაკვეთილი ◆ დათვი, რომელიც დათვი არც არის ◆ კითხვა-თქვენი, პასუხი-ჩვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## საესტრადო სტუდია

# „ლახტი"

### და მისი ხელმძღვანელი

## რობერტ ბარძიმაშვილი

გაცნობებენ, რომ სტუდიამ შეიცვალა ადგილსამყოფელი. ამჟამად მისი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, 80 (ეზოში).

ახალ სტუდიაში ბავშვებისათვის შექმნილია დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი ყველა პირობა. სასწავლებელში პედაგოგებად მოწვეულნი არიან მაღალკვალიფიცირებული მუსიკოსები. სტუდიაში ისწავლება ვოკალი, დაკვრა – გიტარაზე, ბას-გიტარაზე, დასარტყამ ინსტრუმენტებზე, ასევე სოლო და გუნდური სიმღერები. ტარდება, აგრეთვე, სუნთქვის, დიქციის, სასცენო მოძრაობის და სხვა ვარჯიშები.

სტუდია აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. კეთდება სტუდიური ჩანაწერები, ტელეგადაღებები, ტარდება კონცერტები ცოცხალი შესრულებით.

მუსიკალური ორანჟირების ავტორები არიან ცნობილი მუსიკოსები: გია მაჭარაშვილი, ირაკლი მენთეშაშვილი, რობერტ ბარძიმაშვილი, ნანა გოგიშვილი და სხვები.

სასწავლებელში მიიღებიან 5-დან 18 წლამდე ასაკის განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები.



სწავლების ვადაა 2 წელი.

შესარჩევი კონკურსი ყოველდღე 3 საათიდან 6 საათამდე, შაბათ-კვირას 12 საათიდან 6 საათამდე.

საკონტაქტო ტელეფონები: 956677 (სტუდია); 232377; 750477; (899) 540477 (მობილური)

# „ნაკადული"

## საყმაწვილო ჟურნალი
## 2000 წ. № 7
## გამოდის 1926 წლიდან
## ნომრის შინაარსი


"ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო "ფაქტი" ----------- 2

ნინო ერთხანს "უკუღმა" ხატავდა (პრეზიდენტის სტიპენდიატი) - 3

"ნუ გეშინიათ, ჩვენ რამეს მოვიფიქრებთ!" ------------- 4

ნიკო ლეკიშვილი: "მდიდარია კაცი, რომელიც საქმეს ქმნის" --- 5

"ორერა 2000" – ახალი სახელები ქართულ ესტრადაზე ------- 6

მსოფლიო კიდით კიდემდე ---------------------- 8

დათვი, რომელიც დათვი არც არის (ბუნების კარი) ---------- 9

??? ------------------------------------ 10

შენ და მშობლები (ტესტი თინეიჯერებისთვის) ------------ 11

ერწუხის ბრძოლა (სახელმძღვანელო+) --------------- 12

საუკეთესონი ------------------------------ 14

გვერდიგვერდ ----------------------------- 15

სიგარეტი სიკვდილით ემუქრება 250 მილიონ ბავშვს ------- 16

შენ და ისინი (პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისათვის) ---- 18

რატომ ვამბობთ ასე? სიტყვის კონა. რა და რა ჰქვია რას და რას -- 20

კითხვა – თქვენი, პასუხი – ჩვენი ------------------ 21

ვიქტორინა "ჭკუის კოლოფებისთვის" ---------------- 22

რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი ---------------- 23

ფული ლამაზიც უნდა იყოს ---------------------- 24

ვითომ ყველა ბურთი მრგვალია? ------------------ 26

მარგალიტი, საფირონი, ლალი... ----------------- 27

სიცილის გაკვეთილი -------------------------- 30

ორიგამი -------------------------------- 31

გამოგადგები ------------------------------ 32



**რედაქტორი მანანა ბელაშვილი**

მისამართი: 384096, თბილისი კოსტავას ქ. 14

ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.

ინდექსი: 76157.

ფასი სახელშეკრულებო

რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში




შორით – კავკასის, მაღლის,
ჩამოჭირხლული მხრები,
ახლოს – ალაზნის ველი,
აზვირთებული ზვრები,
ზვრებში – გამრჯეთა ლაღი,
ხალისიანი ხმები;
თვალგასახარი ხედი
გზისპირ სახლების წეების, -
გადაფარულთა ქარვით
აკიდოების, ჩხების;
ქვაბში – თათარას ორთქლი,
ქვევრში – ბადაგის შხეფი;
ყველგან – სურნელი ამო-
კომშის, ვაშლების,
მსხლების...
შემოდგომაა, კახეთს
უხდება ხოხბის ფრთები,
დალოცვილია მისი
ჭალა-ტყეები, მთები,
გვიხმობს, გვეძახის ფართოდ
მკლავებგაშლილი გზებით.

*სიმონ შამფრიანი*



# ფაქტი

## "ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო



### ნორჩ ფიზიკოსთა წარმატება

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ ნორჩ ფიზიკოსთა ტურნირზე საქართველოს წარგზავნილებმა მესამე ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს. საქართველოს გუნდს ტურნირზე წარმოადგენდნენ: ლაშა ქორჩრაძე (გუნდის კაპიტანი, თბილისის მე-7 გიმნაზია), ნონა ყარალაშვილი და თორნიკე მჭედლიშვილი (თბილისის 42-ე სკოლა), ელენე ეგიკოვა და რომან აკოფოვი (საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური ლიცეუმი). სულ ფიზიკოსთა ასპარეზობაში 19 ქვეყნის გუნდმა მიიღო მონაწილეობა, მათგან გამარჯვებული პოლონეთის გუნდი გამოვიდა, მეორე ადგილი კი გერმანელებს ერგოთ.

### ახალი სკოლა ხეითელებისთვის

ლიახვის ხეობის ქართული სოფლის ხეითის სკოლის 120-მა მოსწავლემ და 25 მასწავლებელმა ახალი სასწავლო წელი საკუთარ ჭერქვეშ დაიწყეს. 1989 წლის მიწისძვრისა და სამაჩაბლოში დატრიალებული ამბების შედეგად ხეითელები სკოლის შენობის გარეშე დარჩნენ და მთელი ათი წელი გაკვეთილები ვაგონებში ტარდებოდა. წელს კი სწავლის დაწყების მაუწყებელი ზარი ახალ, კოხტა და კეთილმოწყობილ სასკოლო შენობაში დაირეკა. სკოლის მშენებლობა ევროკავშირმა დააფინანსა, შემსრულებელი ორგანიზაციაა "ჰილსვერკ-ავსტრია". მშენებლობას აწარმოებდა შპს "მედიმექსი".

### საჩუქრები ახალგორის ბავშვთა სახლს

ფინანსთა სამინისტრომ, რომელიც მესამე წელია ახალგორის ბავშვთა სახლს მეურვეობს, სასექტემბროდ ახალი კომპიუტერით და ფერადი ტელევიზორით გაახარა პატარები. გარდა ამისა, შეფებმა ახალი სახელმძღვანელოებითა და 2-3 თვის საკმარისი კვების პროდუქტებითაც მოამარაგეს ბავშვთა სახლი.

### ქველმოქმედება "ართ-ჰოლი+"-ის სასარგებლოდ

ინვალიდ და დიაბეტიან ბავშვთა რეაბილიტაციის საერთაშორისო ფონდის "ართ-ჰოლი+" ინიციატივის "ერთად XXI საუკუნეში" მიზანია საქველმოქმედო კონცერტების გამართვა, რომელთა მთელი შემოსავალი ხსენებული ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხება. კონცერტებში მონაწილეობის სურვილი ძალზე ბევრმა ქართველმა ხელოვანმა გამოთქვა. მათი საქველმოქმედო გამოსვლებით შემოსული თანხა შესაძლებლობას მისცემს "ართ-ჰოლ+"-ს სრული ძალით ამოქმედდეს. ფონდის დამფუძნებლის გოგა პიპინაშვილის თქმით, "ართ-ჰოლ+"-ის საქმიანობა დაკავშირებული არ იქნება ინვალიდი და დიაბეტიანი ბავშვების რეაბილიტაციასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ბავშვები არც მედიკამენტურ და არც რაიმე სხვა სამედიცინო დახმარებას არ მიიღებენ. ეს იქნება ერთი ჩვეულებრივი ხელოვნების სტუდია, სადაც ბავშვებს საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში დაეხმარებიან. პატარები აქ შეისწავლიან ცეკვა-სიმღერას, დაკვრას, ხატვას და ა.შ.

### ეკოლოგიური სკოლა ქვემო ალვანში

კახეთის რეგიონის ორი არასამთავრობო ორგანიზაციის - "ახმეტა ოცდამეერთე"-ს და "სიცოცხლის ფონდი"-ს ინიციატივით შემუშავებული პროექტი თუშეთში შექმნილი საგანგაშო ეკოლოგიური ვითარებით არის ნაკარნახევი და საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეზე ქმედით, საქმიან და კონკრეტულ ზრუნვას ისახავს მიზნად.

პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მოზარდების ეკოლოგიური განათლება. ენთუზიასტებმა საასპარეზოდ თუშებით დასახლებული ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლა აირჩიეს. სამწუხაროდ, აქაც, ისევე როგორც საქართველოს უმრავლეს სკოლებში, ეკოლოგიური განათლების დონე ძალზე დაბალია. ამ სკოლაში გაიხსნა და წარმატებით მოქმედებს საკვირაო ეკოლოგიური სკოლა. ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დახმარებით ეკოსკოლის საკლასო ოთახი თანამედროვე ტელე, ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკით არის აღჭურვილი. ოცი თუში ბავშვი უკვე სწავლობს მშობლიური კუთხის ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების პრობლემებს, რეგიონის ეკონომიკის, ტურისტული ინდუსტრიის განვითარებასთან, ტრადიციული მეურნეობის დარგების აღორძინებასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს. ეკოლოგიური განათლების პროგრამა პრაქტიკულ მეცადინეობებსაც მოიცავს. პრაქტიკაზე ბავშვები გაეცნობიან თუშეთის ენდემურ, იშვიათ, გადაშენების პირას მისულ სამკურნალო და სამეურნეო მცენარეებს, გარდა ამისა, ისინი ფოტოაპარატით მუშაობასაც შეისწავლიან.

პროექტის დასკვნითი ეტაპი მოსწავლეების მიერ საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვებას ითვალისწინებს.

# ნინო ერთხანს „უკუღმა" ხატავდა

## პრეზიდენტის სტიპენდიატი



**რვა წლის ნინო ბარნაბიშვილი თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის მეორე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. ნინო 2 წლის ასაკიდან ხატავს. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით მოწყობილ მრავალ გამოფენაზე. ნორჩი ხელოვანი ოთხი პერსონალური გამოფენის ავტორია. წელს ნინო ბარნაბიშვილი პრეზიდენტის სტიპენდიატი გახდა.**

ნინო წლისაც არ იყო, როცა ხელში ფანქარი აიღო. თავდაპირველად პატარას ხელით შემოხაზული ასიმეტრიული, უცნაური ფიგურები არაფრით განსხვავდებოდა ათასობით მისი კბილას "შემოქმედებისგან". გოგონას გატაცებამ უფროსების ყურადღება მხოლოდ მაშინ მიიქცია, როცა ორი წლისამ ჯვარცმა დახატა. ახლობლებს ნინოს სამხატვრო ნიჭზე მეტად მისი რელიგიისადმი გაუთვითცნობიერებელი ინტერესი აოცებდა – გოგონა კარგა ხანს მხოლოდ ტაძრებსა და მართლმადიდებლურ სიმბოლიკას ხატავდა.

ოთხი წლის ნინო უცნაური გოგონების ხატვამ გაიტაცა. წითელსა და ვარდისფერ სამეჯლისო კაბებში გამოწყობილ მის გმირებს სახეების მაგივრობას უფერული ლაქები უწევდა. თანდათანობით გოგონას ნამუშევრები პორტრეტებს ემსგავსებოდა: ნინო თავის გმირებს უკვე სახის ჩვეულებრივი ოვალითა და ნაკვთებით აჯილდოებდა, თუმცა კარგა ხნის მანძილზე პორტრეტს შუბლზე წარბების ნაცვლად წამწამებს უხატავდა. ნორჩმა შემოქმედმა ნატურმორტების ხატვაც ორიგინალურად დაიწყო. ყვავილებითა თუ ხილით სავსე ლარნაკები და ლანგრები რატომღაც დახრილ-დაქანებული იყო. კომპოზიციის შექმნისას ხანდახან მხოლოდ ერთ ფერს ანიჭებს უპირატესობას. მისი ნატურმორტი "ვარდები" მთლიანად წითელი ფერითაა დახატული. წითელ სკამზე შემომდგარ წითელ ლარნაკში აბრდღვიალებული ვარდების თაიგულს მნახველი თვალს ვერ მოსწყვეტს.

ერთხანს გოგონა ხატვის უცნაურმა მანერამ გაიტაცა: ნინო თავდაყირა ხატავდა სხვადასხვა ნივთებსა და ფიგურებს. "საგონებელში ჩავვარდით", – იხსენებს გოგონას დედა, ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ბარნაბიშვილი, – შეგვეშინდა, ბავშვს ოპტიკური ცდომილებების დაავადება ხომ არ სჭირდა. საბედნიეროდ, ეს ნინოს მუშაობის მორიგი სტილი აღმოჩნდა და სხვა არაფერი. "უკუღმა" დახატულ ნამუშევარს შემოაბრუნებდა და ჩვეულებრივად დახატულ პეიზაჟებს, ნატურმორტებსა და პორტრეტებს გვიჩვენებდა".

ნინო ბუნებით მომადლებული ნიჭის გარდა, შრომისმოყვარეობითაც გამოირჩევა. ზამთარში, როცა შუქი ქრება, გოგონა ლამპის შუქზე ხატავს. ნინოს თქმით, სწორედ ამ დროს ეწვევა შთაგონება და შეუძლია,3-4 საათი თავაუღებლად ხატოს.

ნინო ბარნაბიშვილის ნამუშევრები გამოფენილი იყო საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ მრავალ გამოფენაზე. ხუთი წლის ნინოს 12 ნამუშევარი გააგზავნეს ქაიროში, საერთაშორისო გამოფენაზე "ეგვიპტე ბავშვების თვალით". მისი ერთი ტილო "ეგვიპტელი გოგონას პორტრეტი" დღესაც ქაიროს ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზშია გამოფენილი. გოგონას შემოქმედებით აღფრთოვანებული უცხოელები მას ამერიკაში, იტალიასა და ბულგარეთში იწვევენ. ნინო იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში თავის ნამუშევრებთან ერთად შეძლებს უცხოეთში გამგზავრებას.

რვა წლის ნინო უკვე ოთხი პერსონალური გამოფ ენის ავტორია. საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით, სულ პატარა ოთხი წლის ნინოს პირველი გამოფენა მოეწყო ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში, სადაც გოგონამ 200 ნახატი გამოფინა. 1998 წელს აჭარის ახალგაზრდობის დეპარტამენტის მესვეურთა ინიციატივით, ბათუმში მოეწყო ნინოს ნამუშევრების მეორე პერსონალური გამოფენა.

2000 წელი ნინოსთვის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი გახდა. გოგონამ პრეზიდენტის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსში მიიღო მონაწილეობა. ნორჩ მხატვარს მისმა ორიგინალურმა ნამუშევრებმა და მისი შემოქმედების დამფასებლების, კულტურის ყოფილი მინისტრის ვალერი ასათიანის, თბილისის ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორის გურამ ქლიბაძის, საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, აკადემიკოს დემურ ბაშალეიშვილისა და მხატვარ გია ბუღაძის რეკომენდაციებმა წარმატება მოუტანეს – ნინო ბარნაბიშვილი პრეზიდენტის სტიპენდიატი გახდა.



ამ გაზაფხულზე ნინომ უკვე მესამე პერსონალური გამოფენა გამართა. ნორჩი მხატვრის შემოქმედებით მოხიბლულმა საქართველო-იტალიის კულტურულ ურთიერთობათა საზოგადოების ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ქეთი ჯაფარიძემ ნინოს უსასყიდლოდ დაუთმო დედაქალაქის ცენტრში განლაგებული დარბაზი. ნინოს ეს პერსონალური გამოფენა 10 დღეზე დიდხანს გასტანდა, რომ არა მისი მშობლიური პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორის, ქალბატონი ლიანა შეწირულის თხოვნა ნამუშევრები გიმნაზიის საგამოფენო დარბაზში გადმოეტანათ. იმ დღეებში გიმნაზიას თავად საქართველოს პრეზიდენტი უნდა სწვეოდა.

ნინო მღელვარებით ელოდა ამ დღეს. გოგონა პრეზიდენტის სტიპენდიატია და ძალიან სურდა საქართველოს ხელმძღვანელს მისი ნამუშევრები შეენიშნა. გიმნაზიაში სტუმრად მისული პრეზიდენტი კარგა ხანს შეყოვნდა გიმნაზიის დარბაზში გამოფენილ ნინოს სურათებთან, შემდეგ მხიარული ფერებით მოჩითული ორიგინალური ნატურმორტების, პეიზაჟებისა თუ პორტრეტების ავტორთან შეხვედრა მოისურვა. ედუარდ შევარდნაძე მოეხვია დამორცხვებულ ნორჩ მხატვარს, ნამუშევრები შეუქო და წარმატება უსურვა. პრეზიდენტის გულთბილი შეხვედრით გათამამებულმა ნინომ საპატიო სტუმარს აჩუქა თავისი პეიზაჟი "ჩემო სამშობლო მხარეო".

უკვე ერთი წელია ნინო მხატვარ-კერამიკოს თამარ ფიცხელაურთან ძერწვას ეუფლება. გოგონა თიხისგან მისთვის ჩვეულ, ორიგინალურ მანერაში ძერწავს ადამიანებს, ცხოველებსა და საოჯახო ნივთებს. პლასტილინისგან გამოძერწილ მოცეკვავეს, მოკრივესა და კალიას ნინომ რატომღაც არაბუნებრივად გრძელი კიდურები გაუკეთა. მაქმანებითა და მძივებით გაწყობილ მის ნახელავ სააღდგომო კვერცხებს მნახველი თვალს ვერ აშორებს. პატარა შემოქმედი გობელენის ქსოვასაც სიამოვნებით სწავლობს, მასწავლებელი, მაია ფიცხელაური დიდად ემადლიერება თავის მოწაფეს.

ნინო ეუფლება რუსულ და ინგლისურ ენებს, ქართულ ცეკვებს. დამოუკიდებლად სწავლობს დაკვრას, გატაცებულია საოპერო მუსიკით – ხშირად უსმენს თავის საყვარელ "კარმენს" და "ტრავიატას".

სასკოლო საგნებიდან განსაკუთრებით უყვარს მათემატიკა. ალბათ ყველა, ვინც ნინოს და მის შემოქმედებას იცნობს, ფიქრობს, რომ გოგონა ხელოვნების რომელიმე დარგს გაჰყვება, თვითონ კი მრავალმხრივი ინტერესების მიუხედავად, რომლებიც ისევ და ისევ ხელოვნებას უკავშირდება, თურმე ნუ იტყვით, ექიმობაზე ოცნებობს.

**ნანა მაყაშვილი**

საქართველოს
ეროვნული

# "ნუ გეშინიათ, ჩვენ რამეს მოვიფიქრებთ!"

**მთელი თვე დაჰყვეს ერთად ოცდაათმა ქართველმა და ამდენივე აფხაზმა ბავშვებმა ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის შტატში. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, განათლების განვითარების საერთაშორისო აკადემიის, ორგანიზაცია "იუსფორანდერ-სთენდინგის" და მეისონის სახელობის უნივერსიტეტის ძალისხმევით განხორციელებული ამ ღონისძიების მიზანი იყო კონფლიქტის ორი მხარის წარმომადგენელი მოზარდების ახალი თაობის დაახლოება, როგორც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ნაწილი.**

ურთიერთობა სულაც არ გასჭირვებიათ. ზოგმა შარშან ასეთივე შეხვედრაზე გაიცნო ერთმანეთი და ახლა კვლავ ნახვით გახარებულებმა ძალუმად იგრძვნეს, როგორც მონატრებიათ ერთმანეთი. დაძაბულობა მხოლოდ მაშინ იჩენდა ხოლმე თავს, როცა უშუალოდ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. ორივე მხარე თავ-თავის სიმართლეს ამტკიცებდა და იცავდა, თავ-თავისი ტკივილი მოჰყავდა იმის საბუთად, თუ რა უსამართლოდ, ულმობლად მოიქცა მეორე მხარე. აფხაზი ბავშვები თავგამოდებით ამტკიცებდნენ, აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყანააო, მათი ქართველი თანატოლები კი ასეთივე თავგამოდებით უხსნიდნენ, აფხაზეთი მუდამ იყო ერთიანი საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ახლაც ასეა და მომავალშიც ასე იქნებაო. როცა შეატყვეს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა-კამათით ერთმანეთს განცდილ-გადატანილს უმძაფრებდნენ, ჩაყუჩებულ ტკივილს უათმაგებდნენ და უკვე დაახლოებულებს უკანვე ახევინებდნენ, შეთანხმდნენ – ომზე, დატრიალებულ ტრაგედიაზე, კონკრეტულად აფხაზეთის პრობლემაზე აღარ ემსჯელათ.

უთქმელად უგებდნენ ერთმანეთს. აბა რომელი არ მოეკიდებოდა თანაგრძნობით ომის გამო უდედმამოდ დარჩენილ, ან მშობლიური მიწიდან აყრილ და ლტოლვილად ქცეულ თანატოლს?! ბევრი რამ გაიაზრეს თავისთვის, ბევრი ახალიც გაიცნობიერეს და ერთად ცხოვრების სურვილიც იგრძნეს, თუმცა არც ის დავიწყებიათ, რომ ერთად ცხოვრებისთვის ბევრი პრობლემის გადაჭრა იქნება საჭირო. ვინ იცის, იქნებ სულაც მათ ხელთ იქნას უთანხმოების მოგვარება და გონივრული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში შორეულ ამერიკაში ჩასახული კეთილი ურთიერთობა დაეხმაროთ. ამის იმედს კი თუნდაც ერთ-ერთი აფხაზი მოზარდის მიერ ქართველ თანატოლებთან დამშვიდობებისას თქმული სიტყვები იძლევა: "ნუ გეშინიათ, ჩვენ რამეს მოვიფიქრებთ!"



ამერიკელების მიერ ამ შეხვედრების მონაწილეთათვის შემუშავებული პროგრამა ტრენინგების ჩატარებასაც ითვალისწინებდა. ტრენინგებზე ბავშვებს ერთმანეთის პირისპირ სვამდნენ – ქართველ ბავშვს წინ აფხაზი თანატოლი უჯდა. უყურებდნენ ერთმანეთს, ხედავდნენ ერთმანეთის თვალებს, ფიქრობდნენ, ლაპარაკობდნენ. ომს რომ შეეხებოდნენ, უმალ ორივენი იძაბებოდნენ. როცა ქართველი აფხაზთა მხრიდან გამოჩენილი სისასტიკის ფაქტს გაიხსენებდა, მისი აფხაზი თანატოლი უმალ მოიშველიებდა რომელიმე მისი ახლობლის სასტიკი წამების ამბავს... სოხუმიდან ლტოლვილ ია ახალაიას პარტნიორი ტრენინგზე აფხაზი ბიჭი აღმოჩნდა, რომელსაც მამა ომში დაღუპვია. გაუჭირდათ. ბიჭმა თავისი მოსაზრება გამოთქვა, იამ თავისი ნაფიქრალი დაახვედრა პასუხად. ბიჭმა ჯერ იყუჩა, მერე უთხრა შენი პატივისცემის გამო მირჩევნია საუბარი შევწყვიტოო, ადგა და ოთახიდან გავიდა.

გრძნობდნენ, რომ უნდა გაფრთხილებოდნენ, მისათუთებოდნენ ჩასახულ მეგობრობას, კეთილ ურთიერთობას, რაზეც მომავალში ურთიერთგაგება და თანხმობა უნდა აღმოცენდეს. ამიტომაც ინდობდნენ ერთმანეთის გრძნობებს, განცდილ-გადატანილს, პატივს სცემდნენ ერთმანეთის სატკივარს.

მერე განშორების დროც დადგა და გულები აუფორიაქდათ. თურმე როგორ შეეჩვივნენ ერთმანეთს, თურმე როგორ სჭირდებოდნენ ერთმანეთს. ტიროდნენ, ცრემლების დამალვა არც უცდიაც. იმ რწმენით დასცილდნენ ერთმანეთს, რომ თუ, ღმერთმა ნუ ქნას, ყველაფერი კვლავ უკუღმა დატრიალდება, ვერც ერთი მათგანი ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღს ვერ აიღებს, თუნდაც თანამოძმეთა დასამრახი გახდეს.

– მე არ მეგონა, თუ ოდესმე აფხაზს ხელს ჩამოვართმევდი. ის ბავშვი, რომელიც ჩემ წინააღმდეგ იბრძოდა, რატომღაც სხვანაირი მეგონა. დღეს კი ყველა ბარიერი მოიხსნა, მე შემიძლია მივიდე ნებისმიერთან, გულში ჩავიკრა და ვუთხრა შენ ჩემი და ან ძმა ხარ – ამ სიტყვებით ეკა ჯალაღონიამ ყველა თავისი ახალი, ქართველი თუ აფხაზი, მეგობრის სათქმელი გამოხატა. ამერიკიდან დაბრუნებულები სიმღერით დაშორდნენ ერთმანეთს, სიმღერის სიტყვებით ერთხელ კიდევ შეახსენეს ერთმანეთს, არასოდეს ვიომოთ და ყოველთვის ერთად ვიყოთო. ერთ-ერთ ქართველ თანატოლ გოგონას აფხაზმა ბიჭმა დამშვიდობებისას თეთრ მაისურზე წააუწერა: "მე ძალიან მიყვარხარ, არ დამივიწყო".

# ნიკო ლეკიშვილი: "მდიდარია კაცი, რომელიც საქმეს ქმნის"

**ოქტომბერში რაჭის ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში — ამბროლაურში საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სკოლა გაიხსნა. ამბროლაურელი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ახალი სასწავლო კერის აშენებასა და კეთილმოწყობას რაიონის დეპუტატი, გადამხდელთა კავშირის თავჯდომარე ნიკო ლეკიშვილი გულშემატკივრობდა და მეურვეობდა. დღეს ბატონი ნიკო ჩვენი ჟურნალის სტუმარია.**

**- ბატონო ნიკო, რა გახსენდებათ ხოლმე სიამოვნებით სკოლის წლებიდან?**

– მე თბილისის ძველ და ცნობილ უბანში, "პლეხანოვზე" (დღეს აღმაშენებლის გამზირი) გავიზარდე და დღემდე იქ ვცხოვრობ. ქალაქში სახელგანთქმულ მე-7 რკინიგზის სკოლაში ვსწავლობდი. ჩვენს სკოლას რესპუბლიკის რკინიგზის სამმართველო მეურვეობდა და ამის წყალობით იმ დროისთვის თანამედროვედ აღჭურვილი, საკმაოდ კეთილმოწყობილი გახლდათ. მე-7 რკინიგზის სკოლაში ქალაქში ცნობილი ოჯახების შვილები სწავლობდნენ. თუმცა მშობლებს და ბავშვებს გარეგნულ პირობებზე მეტად სკოლის შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივი იზიდავდა. შუტუ ცინცაძე, ჯულიეტა ტაბატაძე, ვერა ადამია, გულია, ჩიგოგიძე მარტო თბილისში კი არა, მთელ რესპუბლიკაში ცნობილი მასწავლებლები იყვნენ. პირველი კლასიდან მე-10 კლასის ჩათვლით მათემატიკას შესანიშნავი ადამიანი და პედაგოგი ბატონი ლეონტი რევია გვასწავლიდა. ქუჩაში რომ შეგვხვდებოდა, მეორე-მესამეკლასელ ბავშვებს ქუდის მოხდით გვესალმებოდა. არ მახსოვს, ბატონ ლეონტის მოსწავლისთვის "შენობით" მიემართა. ცხადია, შეუძლებელი იყო ასეთ პიროვნებას მოკრძალებითა და პატივისცემით არ მოვპყრობოდით.

ჩვენი სკოლის დირექტორი, ბატონი ალიოშა ცინცაძე წითური კაცი გახლდათ და მთელი თაობები მას მეტსახელად "წიწაკას" ეძახდნენ. ბატონი ალიოშა ჩვენთვის, ბიჭებისთვის, ერთდროულად მკაცრი დამრიგებელი, მომრიგებელი მოსამართლე და მეგობარი იყო. სკოლაში უამრავი ბავშვი სწავლობდა და ბატონი ალიოშა პირადად იცნობდა თითოეულს. თავად არაფერი გამოეპარებოდა, მაგრამ მაბეზღარებს ვერ იტანდა, ამ სენს გასაქანს არ აძლევდა სკოლაში. ბატონ ალიოშას არასოდეს გაუგდია მოსწავლე სკოლიდან. ყველაზე თავზე ხელაღებულებთანაც კი პოულობდა საერთო ენას.

მახსოვს, მე-10 კლასში ბიჭები "შატალოზე" გავიპარეთ და სახინკლეში წავედით, ის-ის იყო ღვინო და ხინკალი შევუკვეთეთ, რომ ჩვენი სკოლის დირექტორი შემოვიდა თავისი მეგობრების თანხლებით! ნირი წაგვიხდა. ბატონმა ალიოშამ, რა თქმა უნდა, დაგვინახა, მაგრამ არ შეიმჩნია. ჩვენი ჭკუით მდგომარეობის გამოსწორება მოვინდომეთ, ავდექით და ბატონ ალიოშას "ვაჟკაცურად" სამი ბოთლი ღვინო გავუგზავნეთ. არაფერი გამოგვივიდა, – ოფიციანტმა გვითხრა: "ბიჭებო, თქვენი პურ-მარილის თანხა იმ წითურმა კაცმა გადაიხადაო". დილით, სკოლაში რომ მივდიოდი, უკვე წარმომედგინა, რა რისხვას დაგვატეხდა მეც და დანარჩენებსაც ბატონი ალიოშა. ის კი, ჩემდა გასაკვირად, მხოლოდ გამეხუმრა: "რა იყო, ბიჭო, სამ ბოთლ ღვინოზე მეტის ღირსი არა ვარ?" ბატონი ალიოშა მარტო სკოლის დირექტორის მოვალეობებს კი არ უძღვებოდა ღირსეულად, იგი შესანიშნავი ისტორიკოსიც გახლდათ. ბატონი ალიოშა გვასწავლიდა საქართველოს ისტორიას, მაგრამ არა იმას, რაც სახელმძღვანელოში ეწერა. ის გვაცნობდა რეალურ ფაქტებს, გვიყვებოდა სიმართლეს ჩვენი ქვეყნის წარსულზე.

იმ დროისთვის აუცილებელი პიონერულ-კომკავშირული ღონისძიებები ჩვენს სკოლაში დიდად პოპულარული არასოდეს ყოფილა. სამაგიეროდ, ფეხბურთისა და კალათბურთის შესანიშნავი გუნდები გვყავდა. ხშირად იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები. პირადად მე წყალბურთზე დავდიოდი. "მეშვიდე რკინიგზაში" ბევრი სახელოვანი ადამიანი აღიზარდა. ჩემი თანასკოლელები გახლდნენ დღეს ცნობილი კომპოზიტორები, მომღერლები, მსახიობები: გია ყანჩელი, სულხან ნასიძე, კუკური ჭოხონელიძე, ნანი ბრეგვაძე, მარინა ჯანაშია... სკოლაში მშვენიერი მუსიკალური საღამოები იმართებოდა. მე თანაკლასელ ბიჭებთან ერთად გიტარაზე ვუკრავდი და ვმღეროდი. გიტარა საკლასო ოთახში, კარადაში გვქონდა შენახული. დასვენებებზე ჩვენი კლასის დამრიგებელი, ქალბატონი ვერა ადამია – ის გერმანულს გვასწავლიდა – გვთხოვდა: "ბიჭებო, გაგვახარეთ, რამე გვიმღერეთ". მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობებისა და კეთილგანწყობის მიუხედავად, ჩემი მოსწავლეობის პერიოდში არსებობდა რაღაც ზღვარი, რომელიც არასდროს ილახებოდა. სამწუხაროდ, ახლა ეს ზღვარი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ხშირად წაშლილია. ვფიქრობ, რომ ამაში უფრო მეტად უფროსები, პედაგოგები არიან დამნაშავეები. მეგობრული ურთიერთობები ბავშვსა და აღმზრდელს შორის ფამილარულ დამოკიდებულებაში არ უნდა გადაიზარდოს. საუბარსა და მოქმედებაში მოურიდებელი, ექსტრავაგანტულად ჩაცმული მასწავლებელი მოსწავლის პატივისცემას ვერ დაიმსახურებს. პედაგოგმა ავტორიტეტი მხოლოდ თავისი საგნის უზადო ცოდნითა და მაღალი ზნეობრივი პრინციპებით უნდა მოიპოვოს. კონსერვატორობაში ნუ ჩამომართმევთ და, მე მიმაჩნია, რომ სასურველია მოსწავლეებმა სკოლაში ფორმით იარონ.



**– თქვენ რომ ახლა მოზარდი იყოთ, რას გააკეთებდით?**

– კარგად ვისწავლიდი. დავეუფლებოდი რამდენიმე უცხო ენას. ადამიანი შეიძლება შესანიშნავი სპეციალისტი იყოს, კარგად უძღვებოდეს თავის საქმეს, მაგრამ უცხო ენების ცოდნის გარეშე დღეს იგი თავის პოტენციალს სრულად მაინც ვერ გამოავლენს. მოზარდი აუცილებლად უნდა მისდევდეს სპორტის რომელიმე სახეობას. აი, მუსიკა ან მხატვრობა სხვა საქმეა. ხელოვნებაში თანდაყოლილი ნიჭია საჭირო. სულ არ არის აუცილებელი მუსიკაზე სიარული, როცა ბავშვს სმენა ან მეცადინეობის სურვილი არ გააჩნია.

**– რას აძლევს ადამიანს სიმდიდრე?**

– ყველაზე დიდი სიმდიდრე ცოდნაა. უწინარესად ცოდნის წყალობით იქმნება მატერიალური სიმდიდრე. პიროვნებაზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებს იგი თავის ფულს. ჭკვიანი კაცის ხელში დოვლათი დოვლათს ქმნის. ფული ადამიანს საშუალებას აძლევს წამოიწყოს საქმე, რომლითაც ხალხისთვის საჭირო პროდუქციას შექმნის, დაასაქმებს ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი თავისა და ოჯახების რჩენის საშუალება მიეცემათ. ამერიკის შეერთებულ შტატებში საუკუნის ადამიანად აღიარეს მსოფლიოში ცნობილი ავტომაგნატი ფორდი – კაცი, რომელმაც საქმე შექმნა.

**– რას უსურვებდით ჩვენი ჟურნალის მკითხველებს?**

-ბედნიერ ბავშვობასა და მომავალს. ნუ იჩქარებენ ზრდასრულ ცხოვრებაში შემობიჯებას, ეს მაინც გარდაუვალია, ბავშვობაში კი ვერასოდეს დაბრუნდებიან.

*ესაუბრა ნანა მაყაშვილი*



მომავალი ვარსკვლავები

# "ორერა 2000" - ახალი სახელები ქართულ ესტრადაზე

ოქტომბრის მშვენიერ საღამოს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ახალგაზრდულ ანსამბლ "ორერა-2000"-ის გრანდიოზული კონცერტი გაიმართა. გადაჭედილ დარბაზში ნორჩ მომღერლებს მშობლები, ახლობლები, მეგობრები გულშემატკივრობდნენ. მაყურებელთა შორის ახალგაზრდები და ბავშვები სჭარბობდნენ, თუმცა ამ ღონისძიებამ უფროსი თაობის მსმენელიც არ დატოვა გულგრილი. მათ კარგად ახსოვთ ქართული სიმღერების უბადლო შემსრულებლის რობერტ ბარძიმაშვილის მიერ წარსულში ჩამოყალიბებული ანსამბლების "ორერასა" და "ვია-75"-ის წარმატება და პოპულარობა. ამჯერად ბატონმა რობერტმა, "ორერა-2000"-ის სულისჩამდგმელმა და ხელმძღვანელმა, თავისი ნორჩი მოსწავლეების შემოქმედება წარუდგინა დარბაზში თავმოყრილ საზოგადოებას. მრავალფეროვანი რეპერტუარით, ანსამბლის წევრთა უშუალობით, არტისტიზმითა და შესანიშნავი ხმებით მოხიბლული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს, ყვავილებით ასაჩუქრებდა ახალგაზრდა შემსრულებლებს. აღელვებული, ბედნიერი მომღერლები და მათი ხელმძღვანელი დიდხანს არ ტოვებდნენ სცენას. თუმცა როგორც ყველა დღესასწაული, ეს შესანიშნავი კონცერტიც დასრულდა და საშუალება მოგვეცა ახალბედა, თუმცა უკვე საკმაოდ პოპულარული "ორერა-2000"-ის შესახებ გავსაუბრებოდით ბატონ რობერტ ბარძიმაშვილს.

5 წლის წინ ბატონმა რობერტმა ნიჭიერი ბავშვებისა და მოზარდებისათვის ჩამოაყალიბა მუსიკალური



მაესტროსთან ერთად

სტუდია "ლახტი". დღეს 7-დან 18 წლამდე ასაკის 100-მდე ყმაწვილს გამოცდილი მუსიკოს-პედაგოგები ნანა გოგიშვილი, თამარ ლავრელაშვილი, ნატო მელუა, ჯემალ ცხოვრებაშვილი და თამაზ ბერიშვილი ასწავლიან სიმღერას, გიტარაზე დაკვრას, უმუშავებენ ხმას, უნვითარებენ ჰარმონიულ სმენას.

წელს ბატონი რობერტი შვილებთან და შვილიშვილებთან ამერიკაში სტუმრობდა. ამერიკის რუსულენოვანი რადიოარხის მესვეურებმა პოპულარული ქართველი მომღერალი სტუდიაში სასაუბროდ მიიწვიეს. ინტერვიუმ ბატონ რობერტთან 4 საათს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში ამერიკელმა მსმენელმა მომღერალთან საინტერესო საუბრის გარდა, თავის დროზე მეტად პოპულარული "ორერასა" და "ვია-75"-ის სიმღერების ჩანაწერებიც მოისმინა. სწორედ ამ რადიოგადაცემაში გაიჟღერა სტუდია "ლახტის" წევრთა სიმღერებმა. ნორჩი ქართველების სიმღერებით მოხიბლულმა ამერიკელებმა უმალ გადაწყვიტეს საგასტროლოდ მიეწვიათ ბავშვები. უკვე დაგეგმილია გაეროს ეგიდით ხუთი კონცერტის გამართვა ნიუ-იორკში. ამ გარემოებამ წარმოშვა იდეა სტუდია "ლახტის" საუკეთესო შემსრულებლებისგან ჩამოყალიბებულიყო ანსამბლი. ბატონმა რობერტმა თავისი მშობლიური, საყვარელი ანსამბლის პატივსაცემად ახალ პირმშოს "ორერა-2000" უწოდა. მისმა მეგობარმა, კომპოზიტორმა და შემსრულებელმა ნუგზარ ერგემლიძემ მომავალი ანსამბლის სახელის ორიგინალური გაფორმება შესთავაზა. "2000"-ის სამ ნულში სამი ასო "ე", "რ" და "ა" ჩაიწერა. ასე რომ მუსიკალური ჯგუფის სახელი "2000" ახლა რიცხვითაც იკითხება. ანსამბლის 15 წევრიდან 3 გოგონაა. ჯგუფის თითოეულ წევრს სოლო რეპერტუარი აქვს. ანსამბლის მრავალფეროვან მუსიკალურ რეპერტუარშია თანამედროვე არანჟირებით განახლებული 60-იანი წლების "ორერასა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

და "ვია-75"-ის სიმღერები, პოპულარული უცხოური ჰიტები. ახალგაზრდა კოლექტივთან სიამოვნებით თანამშრომლობენ ცნობილი ქართველი კომპოზიტორები გია მაჭარაშვილი, ნუგზარ თუშიშვილი, ვაჟა დურგლიშვილი. მაისში თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულმა ანსამბლ "ორერა-2000"-ის კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ხმის ჩამწერ სტუდია "თბილისში". ნორჩმა "ორერელებმა" უკვე თავისი პირველი ალბომი ჩაწერეს. ახალგაზრდულ შემოქმედებით კოლექტივს ფინანსურ დახმარებას კომპანია "ჯეოსელი" უწევს. ამერიკაში დაგეგმილი გასტროლების გარდა, ჯგუფი ფინეთში, საერთაშორისო ახალგაზრდულ ფესტივალზე გამგზავრებას აპირებს. ნორჩი ქართველი შემსრულებლების ჩანაწერებით მოხიბლული ფესტივალის ორგანიზატორები გრანდიოზულ დღესასწაულზე ერთი საათით დაუთმობენ სცენას "ორერა-2000"-ს.

ბატონი რობერტი ანსამბლის თითოეულ წევრზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებს მათ. მაესტრო განსაკუთრებით მოულოდნელად, "შემთხვევით" აღმოჩენილი ტალანტებით ამაყობს:

– სამი წლის წინ "აღმოვაჩინე" ტატო ალანია. ტატოს უფროსი ძმა დადიოდა ჩვენთან სტუდიაში. ოთხი წლის ტატო დედასთან ერთად მეცადინეობის დასრულებამდე ელოდა ძმას. მოგვიანებით ბიჭების დედამ გამიმხილა: "სტუდიაში მოსმენილ სიმღერებს ტატო სახლში შესანიშნავად მღერის. ეგებ, მოუსმინოთ ბავშვს". სიმართლე გითხრათ, ეჭვი შემეპარა ოთხი წლის ბავშვის შესაძლებლობებში, მაგრამ, საბედნიეროდ, შევცდი. დღეს შვიდი წლის ტატო ჩვენი ანსამბლის წევრია, მისი შესრულებით მოსმენილ ესპანურ "ამაბოლას" არაფერი სჯობს.



ბატონ რობერტს შეუძლია საათობით ილაპარაკოს თავისი მოსწავლეების ღირსებებსა და ხასიათზე, ხმის ტემბრსა და ტემპერამენტზე. ამ თვისებების მიხედვით ურჩევს მაესტრო ნორჩ მომღერლებს რეპერტუარს.

თორმეტი წლის რუსთაველი ზურაბ მოსიავა შესანიშნავად უკრავს გიტარაზე, კონსერვატორიასთან არსებული ნიჭიერთა ათწლედის ფლეიტის კლასში მეცადინეობს. ზურაბი ქალაქური და ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელია.

ექსცენტრიკული დათო ბარნაბიშვილი შესანიშნავად მოძრაობს სცენაზე. თავისი არტისტული მონაცემები ბიჭმა ღირსეულად წარმოაჩინა ლუი პრიმას უკვდავი ჰიტის "ჟიგოლოს" შესრულებისას.

ლევან ჭიკაძე კარგა ხანს არ გამოირჩეოდა სტუდიის რიგითი წევრებისგან. ამ ცოტა ხნის წინ კი ლევანმა ყველა გააოცა მუსიკალური თვალსაზრისით რთული, ორი მშვენიერი სიმღერის – გია მაჭარაშვილის "შენ მხოლოდ შენ" და გივი ალაზნისპირელის "ვერცხლისფერი საქანელას" ვირტუოზული შესრულებით.

ბატონ რობერტს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს თავის ნორჩ მოსწავლეებთან დუეტში სიმღერა. გასულ ზაფხულს მაესტრომ ანსამბლის წევრ გიორგი ხრიკულთან ერთად როკ-ენ-როლ-ის მეფის ელვის პრესლის ცნობილი ჰიტის ორიგინალური ვერსია ჩაწერა. ქართულ-ინგლისურად შესრულებული ემოციური კომპოზიცია მსმენელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

იშვიათი ვოკალური მონაცემებით გამოირჩევა "ორერა-2000"-ის წევრი, უცხო ენების უნივერსიტეტის მეორეკურსელი თამთა ყველიაშვილი. გოგონა მსოფლიოს შოუ-ბიზნესის ვარსკვლავის სელენ დიონის რეპერტუარს მღერის

"ორერა-2000"-მა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა ქართულ ესტრადაზე, ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრება, წარმატება და მსმენელის სიყვარული დაბედებოდეს!



მაესტრო რობერტ ბარძიმაშვილი და ზურაბ მოსიავა

**ნანა მაყაშვილი.**

# მსოფლიო კიდით კიდემდე

## გერმანია
### სკოლაში ბადრაგის თანხლებით

გერმანიის ფედერალური მიწის, ბავარიის წესრიგის დამცველებს უჩვეულო მოვალეობა დააკისრეს: ამიერიდან მათ სკოლის გამცდენი, "შატალოზე" გაპარული მოსწავლეებიც უნდა დაიჭირონ. ფორმიანმა თუ სამოქალაქო ტანსაცმლიანმა პოლიციელებმა უკვე დაიწყეს მოზარდების და ახალგაზრდების ყველაზე ხალხმრავალი ადგილების – სადგურების, სათამაშო ავტომატების დარბაზების, დიდი უნივერმაღების თვალთვალი. ზარმაცების გამოვლენის შემთხვევაში მათ დაუყოვნებლივ აბრუნებენ სკოლაში, მათ შორის საპატრულო მანქანებითაც. პოლიციელების მოტყუება-გაცურება შეუძლებელია, მოსწავლეების ყველა ხრიკისა და ტყუილის შემოწმება სულ ადვილად შეიძლება, საამისოდ სკოლაში დარეკვაც კმარა. ასეთი გზით მოკლე ხანში პოლიციელებმა 160-მდე "შატალოზე" წასული მოსწავლე დააბრუნეს სკოლაში.

## აშშ
### ათი წლის სტუდენტი

10 წლის გრეგორი სმიტი კოლეჯის მეორე კურსის სტუდენტია. როგორც თვითონ ამბობს, გრეგორი ოთხი წლიდან ოცნებობდა კოლეჯზე. მშობლებმა უფრო ადრე შენიშნეს, როგორი უჩვეულო ბიჭი ეზრდებოდათ. 14 თვის იყო ვუნდერკინდი, როცა წაკითხულს თავისუფლად იმახსოვრებდა და ზეპირად ყვებოდა იმ წიგნების შინაარსს, რომლებსაც დედ-მამა უკითხავდა, წლინახევრისამ კი უკვე გამრავლება ისწავლა. კლასიდან გრეგორი პირდაპირ მერვეში გადავიდა, მთლიანი სასკოლო კურსი კი 10 კვირაში დაძლია. გენიოს ბიჭს 33 წლის ასაკში სამი სამეცნიერო ხარისხის მიღებას უწინასწარმეტყველებენ. თვითონ გრეგორი კი ფიქრობს კოსმიური კოლონიების განვითარებას მოჰკიდოს ხელი და შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდეს.

## ავსტრია
### სწავლა ურვეულოდ და უწიგნოდ

დამდეგი სასწავლო წლიდან ავსტრიის სკოლებში ურვეულო სწავლაზე გადავიდნენ. ჯერჯერობით ამგვარი რეჟიმი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ დაწყებითი სკოლების 10 კლასსა და საშუალო სკოლების 40 კლასში შემოიღეს. რაღაც წიგნები და ჩანაწერებისათვის განკუთვნილი რვეულები, ცხადია, დარჩება, მაგრამ მოსწავლე-მასწავლებლების მთელი ურთიერთობა კომპიუტერული ქსელის მეშვეობით განხორციელდება. ეს სიახლე საბოლოო შემოწმება უნდა გახდეს მანამ, ვიდრე ავსტრიული სკოლების ტოტალურ კომპიუტერიზაციაში პირველი მილიარდი შილინგი ჩაიდება.

## ტოგო
### პარლამენტის სპიკერი 11 წლისაა

აფრიკის დასავლეთში მდებარე ამ სახელმწიფოს ეროვნულმა ასამბლეამ ფიცი დაადებინა ბავშვთა ახალ პარლამენტს, რომლის დეპუტატთა ასაკი 16 წელს არ აღემატება, სპიკერი კი 11 წლისაა. ტოგოს ბავშვთა პარლამენტის პირველ სესიაზე ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების განხილვაში მონაწილეობისთვის მოწვეულები იყვნენ მთავრობის წევრები.

## ბელგია
### სასჯელი ოროსნებისთვის

დღემდე ბელგიის სამსაფეხურიან სკოლებში ჩამორჩენილ მოსწავლეებს იმავე კლასში მეორე წლით არ ტოვებდნენ, ოროსანი სხვებთან ერთად გადადიოდა შემდეგ კლასში. ახლახან გატარებული საგანმანათლებლო რეფორმის შემდეგ კი გადაწყდა, ოროსნები მეორე წლით დატოვონ. ამ გადაწყვეტილებამ მშობლების აღშფოთება გამოიწვია. საქმე ის არის, რომ ბელგიაში სწავლის ხარჯების უდიდეს ნაწილს სახელმწიფო იხდის, ახალი პროექტის თანახმად კი მეორეწლიანებმა სწავლაში ფული უნდა იხადონ. საბოლოოდ მშობლები და განათლების მესვეურნი იმაზე შეთანხმდნენ, რომ იმავე კლასში მხოლოდ იმ მოსწავლეებს დატოვებენ, რომლებიც აშკარად ზარმაცობენ, ხოლო ჩამორჩენილობის ნამდვილ მიზეზს ბავშვთა ან მოზარდთა ფსიქოლოგები დაადგენენ. მათი დასკვნის საფუძველზე, თუ მოსწავლე ავადმყოფობის გამო კი არა, უბრალოდ სიზარმაცის გამოა ოროსანი, იგი მომდევნო კლასში ვერ გადავა. მეორეწლიანები განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა ჩაუსხდნენ იმ საგნებს, რომლებსაც წინა წელს გული ვერ დაუდეს, დანარჩენ დროს კი უნდა იმუშაონ. ერთადერთი შეღავათი ასეთი მოსწავლეებისათვის ის იქნება, რომ სამუშაოს თავისი სურვილით არჩევის საშუალება მიეცემათ.

# დათვი, რომელიც დათვი არც არის



სადღეისოდ მსოფლიოში ცნობილია შვიდი სახეობის დათვი. მათმა უმრავლესობამ სახელი ბუნებრივი სამოსის შეფერილობის მიხედვით მიიღო: თეთრი, მურა, შავი, მკერდთეთრა, სათვალიანი. დანარჩენი ორიც შავია, მაგრამ რადგან ერთი შავი უკვე არის, ამით, ერთს ტუჩა დაარქვეს, მეორეს - მადაიური. ეს არის და ეს - დათვების მთელი ოჯახი, მაგრამ ზოგჯერ მერვე, ბამბუკის დათვსაც ასახელებენ. არსებობს თუ არა ბუნებაში ასეთი დათვი? არსებობს, მაგრამ ეს დათვი დათვი არ არის. დიახ, ეს "არადათვი დათვია" და იგი არცთუ დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს მის სამშობლოში, ჩინეთში.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში პარიზის ბუნების ისტორიის მუზეუმში, რომელიღაც დიდი გარეული ცხოველის მეტად ორიგინალური შეფერილობის ტყავი მიიტანეს, რომელიც ერთი შეხედვით დათვისას ჰგავდა. გაშალეს ტყავი ძირს და ნელ-ნელა ეჭვი შეეპარათ, თეთრი და შავი ტყავის ნაჭრები ხომ არ არის ოსტატურად გადაკერებულიო, მაგრამ ტყავს არც გადანაჭერი ან გადანაკერი აჩნდა, და არც დაწებების ადგილი. მეცნიერებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ – იქნებ სულაც რომელიმე გადაშენებული ცხოველის ტყავიაო. სპეციალისტები ამტკიცებდნენ ტყავის ბეწვი დათვისაა, მაგრამ შეღებილი უნდა იყოსო.

ვინ და სად მოიპოვა, ან პარიზში ვინ ჩაიტანა ეს უცნაური ტყავი?

1869 წელს ჩინეთში მოგზაურობდა ფრანგი მისიონერი არმან დავიდი. ბატონი არმანი ნატურალისტიც გახლდათ და რელიგიურ საქმიანობასთან ერთად, ქვეყნის ცხოველთა სამყაროსაც აკვირდებოდა, აკეთებდა ჩანაწერებს, აგროვებდა ექსპონატებს. სიჩუანის პროვინციის ერთ-ერთ მივარდნილ სოფელში დავიდმა ღობეზე გადაკიდულ უცნაურ ტყავს მოჰკრა თვალი. გამოიკითხა და გაიგო, რომ ტყავი ეკუთვნოდა სოფლის შემოგარენში, მაღალ მთებში ბამბუკის ტევრში მობინადრე "ბეი-ბუნეს" ("მთის თეთრ დათვს").

არმან დავიდმა ტყავი პარიზში გაგზავნა, თვითონ კი ტყავის "პატრონის" ძებნას შეუდგა. ბედმა გაუღიმა. იმავე წელს იყიდა მონადირისგან მოკლული ბეი-ბუნგი, დაამუშავა, თან მონადირეთა მონაყოლი აახლა და საფრანგეთში გაგზავნა. ახლა მეცნიერებს უცნობი ცხოველის მეორე ტყავი და ჩონჩხი ჰქონდათ ხელთ და გარკვეული დასკვნების გამოტანაც შეძლეს. გამომდინარე ჩვეულებრივ დათვთან მსგავსებიდან და კვების ხასიათიდან (დავიდმა აცნობა, რომ ბეი-ბუნგები ძირითადად ბამბუკით იკვებებიან), ცხოველს ბამბუკის დათვი უწოდეს. მაგრამ მერე და მერე, მას შემდეგ, რაც გულდასმით შეისწავლეს მათ ხელთ არსებული მასალები, ზოოლოგებმა ახლად აღმოჩენილი ცხოველი ენოტისებრთა ოჯახს მიაკუთვნეს და დიდი პანდა უწოდეს. თუმცა ის პირვანდელი სახელი - ბამბუკის დათვი დღესაც იხმარება.

ამასობაში პანდათი დაინტერესდნენ არა მარტო მეცნიერები, არამედ გარეულ ცხოველებზე მონადირენი და მოვაჭრენი. ევროპიდან და ამერიკიდან უამრავი ავანტიურისტი დაიძრა ჩინეთისკენ. მაგრამ დიდი პანდების ბინადრობის ადგილებამდე მიღწევა ძალზე ძნელი იყო – უგზოობა, მაღალი მთები, უსიერი ტყეები, გაუვალი ბამბუკის ტევრები, გადაულახავი მდინარეები...

პირველი დიდი პანდას დაჭერა 1916 წელს მოხერხდა ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით, მაგრამ იგი მალე დაიღუპა. ოცი წლის შემდეგ კი ერთმა ამერიკელმა ქალმა იყიდა ახალგაზრდა პანდა და უხიფათოდ ჩაიყვანა იგი სან-ფრანცისკოში.

როგორც კი ადგილობრივებმა ბამბუკის დათვი დაიჭირეს, მას სუ-დინი უწოდეს, რაც ქართულად "უზარმაზარი ფასეულობის პატარა ნაწილს" ნიშნავს. და ეს მართლაც ასე იყო. დიდი პანდა მსოფლიოს უიშვიათესი ცხოველია. იგი მხოლოდ ჩინეთშია გავრცელებული. ამჟამად "არადათვი დათვი" ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე, მთის ტყეებში და უფრო მაღლა, სიჩუანის პროვინციაში ბინადრობს. ვარაუდობენ, რომ იგი განსუს პროვინციის და ტიბეტის რიგი ოლქების მიუვალ ადგილებშიც შემორჩა.



თითო-ოროლა პანდა გამოჩნდა აშშ-ს და ლონდონის ზოოპარკებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ იშვიათი ცხოველის ბინადრობის ადგილები ნაკრძალებად გამოცხადდა. დიდი ხნის განმავლობაში დიდი პანდების გამრავლების შესახებ არაფერი იყო ცნობილი, მაგრამ 1963 წელს პეკინის ზოოპარკში დედა-პანდა ლი-ლიმ ბელი გააჩინა, რომელიც 142 გრამს იწონიდა. ბელი სწრაფად იზრდებოდა და ხუთი თვისა უკვე ათ კილოგრამს იწონიდა. პატარას მინ-მინი, ანუ "მბზინავი, მბრწყინავი" დაარქვეს. დაბადებიდან პირველი ათი დღე დედა ჭამის დროსაც კი არ იცილებდა შვილს. სამი თვის მინ-მინმა ფეხი აიდგა და როგორც კი დედა ჩათვლემდა, სასეირნოდ მიდიოდა. მაგრამ ლი-ლი მალევე იღვიძებდა, პოულობდა მოუსვენარ პატარას და ერთი-ორჯერ თათსაც უთავაზებდა ხოლმე. ერთი წლის შემდეგ ლი-ლიმ მეორე ბელი გააჩინა და ამჯერად მეცნიერებმა შეძლეს დაესკვნათ, რომ დიდი პანდა დაახლოებით 140 დღეს მაკეობს.

ტყვეობაში დიდი პანდები ხალისიანად იქცევიან. თამაშობენ, ბევრს მოძრაობენ, გორაობენ, ყირაზე დგებიან, მალაყს გადადიან, დაძვრებიან ცხაურებზე, ბადეებზე, კიბის საფეხურებზე, ბაგირებზე.

პანდა დიდი ცხოველია. მოზრდილი "ბამბუკის დათვის" სიმაღლე მხრებში დაახლოებით 70, სხეულის სიგრძე კი დაახლოებით 170 სანტიმეტრია. ერთ-ერთი ზოოპარკის ბინადარი 12 წლის პანდა 185 კილოგრამს იწონიდა.

დიდი პანდა ძალზე ფრთხილია. ადამიანებს ერიდება, გაურბის. თუმცა მთის მონასტრებში მცხოვრები ბუდისტი ბერები ხშირად იშინაურებენ როგორც ახალგაზრდა, ისე მოზრდილ ცხოველებს. დიდი პანდას ბინადრობის ადგილებში სხვადასხვა სახის ბამბუკის გარდა, იზრდება ნაძვი, ფიჭვი, კედარი, მუხა, წიფელი, სოჭი. დიდი პანდა მშვენივრად გრძნობს თავს ასეთ ტყეებში, ადვილად ადის მაღალ ხეებზე, მოეწყობა ტოტებზე და ისვენებს. "ბამბუკის დათვი", დიდი ტანის მიუხედავად, სწრაფად დარბის და მთის ციცაბო კალთებზე ჩამოგორებაც შეუძლია. წინა თათებს თვალებზე აიფარებს, უკანა თათებს მუცელზე მიიკრავს და მიგორავს, მდევარს გაურბის. ბუნებრივ პირობებში პანდას ყველაზე საშიში მტრები ლეოპარდები და წითელი მგლები არიან. პანდას ოთხივე თათზე გრძელი (3-4 სმ) ბრჭყალები აქვს, თათის ძირები გრძელი და ხშირი ბეწვით აქვს დაფარული, თეთრი და მოკლე კუდი პატარა ნიჩაბს მიუგავს.

პანდა ძირითადად ბამბუკის ფოთლებითა და ნორჩი ყლორტებით, ზოგი სხვა მცენარით და მწერებით იკვებება, ზოგჯერ კი არც თევზსა და პატარ-პატარა მღრღნელებს იწუნებს.





უდაბნოს პირობებში, როცა თითქმის ნახევარწელიწადის განმავლობაში ტემპერატურა 45 გრადუსზე დაბლა არ ჩამოდის, ადამიანის სიცოცხლე, მისი ყოფა და ნებისმიერი საქმიანობა დამოკიდებულია წყალზე. წყლის ძიება, მოპოვება, გადატანა და შენახვა დიდ დროსა და ენერგიას ართმევს საჰარის მომთაბარე თუ მკვიდრ მოსახლეობას.

ნიგერელი ქალები წყალს გოგრისგან დამზადებული ჭურჭლით ეზიდებიან. გარდა იმისა, რომ გოგრის ბოთლები ხარიხით გადასატანად ძალიან მოხერხებულია, ისინი წყალსაც გრილად ინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტესტი თინეიჯერებისათვის

## შენ და მშობლები

1. მიგაჩნია თუ არა, რომ მშობლებთან კარგი ურთიერთობა გაქვს?

2. მშობლებს გულახდილად ელპარაკები? ეკითხები თუ არა მათ რჩევას პირად საკითხებში?

3. მშობლების სამუშაოთი თუ ინტერესდები ხოლმე?

4. იცნობენ თუ არა შენი მშობლები შენს მეგობრებს?

5. დადიან თუ არა შენი მეგობრები თქვენთან, ოჯახში?

6. მონაწილეობ თუ არა საოჯახო საქმეებში?

7. სახლში მოწყენილი ხარ და თავისუფალ დროს სხვაგან ატარებ?

8. შენ და შენს მშობლებს საერთო გატაცებები და საქმე თუ გაქვთ?

9. მონაწილეობ თუ არა საოჯახო დღესასწაულების მომზადებაში?

10. გირჩევნია თუ არა, რომ მშობლებმა თქვენთან ერთად მიიღო მონაწილეობა ბავშვების ზეიმებში?



11. თუ უზიარებ მშობლებს აზრს წაკითხული წიგნის შესახებ?

12. საუბრობ ხოლმე მშობლებთან სატელევიზიო გადაცემებსა და ფილმებზე?

13. მშობლებთან ერთად თუ დადიხარ მუზეუმებში, გამოფენებსა და კონცერტებზე?

14. დადიხარ თუ არა მშობლებთან ერთად ტურისტულ ლაშქრობებში?

15. უქმეებს მშობლებთან ერთად ატარებ?

**დადებითი პასუხები 2-2 ქულით შეაფასე, პასუხები "ნაწილობრივ" ან "ზოგჯერ" - თითო ქულით, ხოლო თუ პასუხი უარყოფითია, 0 ჩაიწერე. ახლა კი დაითვალე.**

***20 ქულაზე მეტი:*** შეიძლება შენი ურთიერთობა უფროსებთან დადებითად ჩაითვალოს.

***10-20 ქულა:*** ეს ურთიერთობა დამაკმაყოფილებელი, მაგრამ არამრავალმხრივია.

***10 ქულაზე ნაკლები:*** მშობლებთან კონტაქტები არასაკმარისია, მათთან ურთიერთობის გაუმჯობესება აუცილებელია.

# ერწუხის ბრძოლა





**1104 წელი, ერწუხი. ბრძოლა კახეთ-ჰერეთის შემოსაერთებლად.**

...მრავალი ლოკალური მნიშვნელობის მცირე ბრძოლისა და მათში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილმა და გაწვრთნილმა ქართველთა ლაშქარმა გადაიხადა პირველი დიდი ომი მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინააღმდეგ.

ერწუხში (სავარაუდოდ დღევანდელი საინგილოს მიწა-წყალზე) დავითმა "ქმნნა წყობანი დიდნი და ხმაგასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დახოცა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი..." ქართველებს თავი არ დაუზოგავთ თურქებთან ბრძოლაში, მეფე სარდლის სიმამაცით, თავგაწირულობით გამხნევებულებ იქნევდნენ ხმალს და მუსრს ავლებდნენ მტერს, "ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხვა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა და ვითა ლომს შეუზახებდა ხმით, მაღლითა და ვითა გრიგალი მიდა-მო იქცეოდა, და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხეულთა ყოველთა", სამი ცხენი გამოუკლეს თურქებმა დავითს, მეოთხე ცხენზე მჯდომმა მიიყვანა გამარჯვებამდე ომი. მტერი უკუიქცა. მკლავი დაასვენეს ბრძოლით დამაშვრალმა ქართველებმა, ხმალი ქარქაშში ჩააგეს. გამარჯვებულმა დავით მეფემ სარტყელი შემოიხსნა და პერანგიდან ერთბაშად შედედებულმა სისხლმა ითქრიალა. ელდა ეცათ ქართველთ, მეფე დაგვიჭრეს, სისხლიდან იცლებაო. თურმე მტრის სისხლი ყოფილა. ხელჩართულ ბრძოლაში ხმლის ღარებს ამოყოლილი მტრის სისხლი მეფეს მაჯაში ეწვეთებოდა და უბეს უვსებდა. მეფემ თანამებრძოლთ გახედა და გაიღიმა...



ერწუხის ბრძოლით დაიწყო დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლიერება. კახეთ-ჰერეთი შემოერთებული იყო.

საქართველოს ძირითადი მიწა-წყალი მტრისგან გათავისუფლდა...

ასე იყო საუკუნეების მანძილზე - ქართველ კაცს ცალი ხელი რომ გუთანზე ეჭირა, მეორეთი ხმლის თუ სატევრის ვადა ჰქონდა ჩაბღუჯული. ქართული საჭურველი უცხოელ დამპყრობლებთან განუწყვეტელი ომების ვითარებაში იქმნებოდა. მუდამ მტრის მოხდომის მომლოდინე მეომარი ქართველი ხალხისთვის იარაღს არ უნდა ემტყუნა და ამიტომაც ირჯებოდნენ აგრერიგად ოსტატები. საქართველოში დამზადებულ საჭურველს ძველთაგანვე შორს ჰქონდა სახელი განთქმული.



ქართული ფარები უპირატესად მრგვალი ფორმისაა. ქართველი მეომრები ხმარობდნენ ტყავგადაკრულ ხის ფარს, ლითონით შეკრულ-შეჭედილ ტყავის ფარს, ცივად ნაჭედ ლითონის ფარს.

მრგვალი ან ოვალური ხევსურული ფარი ფურცლოვანი რკინისგან კეთდებოდა. ფარის ჩონჩხი რკინის ან სპილენძის ნაჭრებისგან იყო შემდგარი. რკალის გარეგან ნაწიბურებზე ამაგრებდნენ ჯვარს, რომელიც რკინის ზოლებისგან ანუ ხიდებისგან შედგებოდა. ფარის ცენტრში ჯვარი უერთდებოდა რკინის ზესადებს – შუაში ამოზნექილ "გუმბათს". ფარს გარედან ჰქონდა ერთი ან ორი რკალი – "გირგოლი", რომელზედაც წვეტიანი რკინის ფარეშები მაგრდებოდა. ფარს შიგნიდან ტყავს აკრავდნენ, სარჩულზე ოთხკუთხ ტყავის ნაჭერს აკერებდნენ, რომელზეც ღვედებისგან დაწნულ სახელურს – "საბღუჯავს" ამაგრებდნენ.



საბრძოლო მათრახი ქართველი მეომრის საბრძოლო აღჭურვილობის აუცილებელი საგანი იყო. საბრძოლო მათრახს მსხვილი და ენაბრტყელი ბოლო ჰქონდა. იგი, როგორც წესი, ხარის ტყავის ღვედებისგან კეთდებოდა. მათრახს მავთულს აწნავდნენ, ტარს კი ხისას ან ძვლისას უკეთებდნენ.

ჯაჭვი, ჯაჭვის პერანგი, ბექთარი, ჯავშანი – ძველად – ლითონის სამოსელი, რომელსაც იცვამდნენ მეომრები იარაღისგან თავის დასაცავად. ჯაჭვის პერანგი ოვალური რგოლებისგან იყო ასხმული, მისი კალთა კი უფრო წვრილი რგოლებისგან შედგებოდა. ჯაჭვს, ჩვეულებრივი ტანსაცმლის ზემოდან იცვამდნენ. დამზადების ტექნიკის მიხედვით ანსხვავებდნენ ფარეშიან, უფარეშო და შედუღებულ ჯაჭვებს. ეს უკანასკნელი უფრო გამძლედ ითვლებოდა, ჯაჭვის ფართო სახელოები მხრებს უფარავდა მეომარს და თითქმის იდაყვებამდე სწვდებოდა.

ჯაჭვის დამზადების პროცესს ძველად ჯაჭვის ქსოვა ანუ ასხმა ეწოდებოდა.





ქართული ორფხიანი სატევარი ახლო მანძილზე გამოსაყენებელი იარაღია. საქართველოში ამზადებდნენ სწორ ან ოდნავ მოხრილ ერთ და ორლარიან, მასიურტარიან სატევრებს.



ჩაჩქანი, ძველებური ლითონის თავსაბურავი, ლითონის ქუდზე დამაგრებული ნაქსოვი ჯაჭვისგან შედგებოდა.



ქართული ხმალი ორგვარი იყო: ვადიანი და უვადო. ქართველ ოსტატთა ნახელავ ხმლის პირებს საქართველოს ფარგლებს გარეთაც დიდად აფასებდნენ. ჩვენში ბოლო დრომდე განთქმული იყო ხმლის პირები: დავითფრული ფრანგული, გორდა, კალდიმი და სხვა.



# 2000 წლის საუკეთესონი

## იცნობდეთ, თბილისის სკოლების მასწავლებელთა შორის საუკეთესოებად აღიარეს:



**ვიქტორია იანოვჩიკი-მანჯგალაძე** თბილისის 164-ე სკოლის გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.



**ლია ყოყოჩაშვილი** 157-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი



**სვეტლანა ხმალაძე** 51-ე საშუალო სკოლის ინგლისურის მასწავლებელი.



**გულიზარ ბიწაძე** 62-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.



**მაქსიმე თვალავაძე** 55-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

## ნომინაციებში გამარჯვებულები



"ნოვატორი ხელმძღვანელი" ლალი ბერძენიშვილი, საავტორო სასწავლო-კვლევითი კომპლექსის "გალავარის" ხელმძღვანელი



"ქართული საქმის დესპანი" ლილი დოლიძე, 37-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



"ღირსეული მემკვიდრე" ხათუნა დუდუჩავა. 183-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი



"მასწავლებელი მკვლევარი" დოდო თხელიძე, 178-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი



"მასწავლებელი გზამკვლევი" თამარ ძნელაძე, 122-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი



"განათლების მეცენატი" გიორგი გაგუა.

## თბილისის მერიის პრემიების ლაურეატები



გრიგოლ ხანძთელი[illegible] სახელობის პრემიის ლა[illegible]ტი **რუსუდან მეგ[illegible]ი-შვილი**, მე-6 გი[illegible]ს ქართული ენისა და [illegible]-რატურის მასწავლე[illegible]



რაფიელ დანიბეგაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი **ნუგზარ არჩვაძე**, მე-2 სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი **ქეთევან ჯანუაშვილი**, 122-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

## საუკეთესო სასწავლო დაწესებულებები



წლის საუკეთესო სკოლა. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საუნივერსიტეტო სკოლა. (დირექტორი ქალბატონი ლამარა მარგველაშვილი)



კონკურსის ლაურეატი დიმიტრი უზნაძის სახელობის 22-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ქალბატონი გულნარა ხორბალაძე)



კონკურსის ლაურეატი 128-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ქალბატონი ნათელა ჟორდანია).

# გვერდიგვერდ

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში ასოციაციამ "ხელოვნება საზღვრებს გარეშე" მოაწყო კავკასიის ეთნოკონფლიქტებში დაზარალებულ ბავშვთა ნახატების გამოფენა "გვერდიგვერდ".**

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორები აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და ჩეჩნეთის მოვლენების შედეგად დაზარალებული გოგო-ბიჭები არიან და თუმცა მათი ნახატები პეპლებით, ყვავილებით და მზით არის აფერადებული, მათში მაინც გამოსჭვივის ქვეცნობიერი ბავშვური შეშფოთება და გულის სიღრმეში ჩაბუდებული ტკივილი, მათი ფსიქოლოგიურ-ემოციური მდგომარეობა...

გამოფენის მოსამზადებლად მისმა ორგანიზატორებმა ლტოლვილებით დასახლებულ წყალტუბოში, გორში, ქარელსა და პანკისის ხეობაში ხუთდღიანი ე.წ. არტვორკშოპები ჩაატარეს. ბავშვებს საორიენტაციოდ შემდეგი თემები შესთავაზეს: "ჩემი მეზობლები", "მინდა გამოვიდე", "ჩემი ოცნების ქალაქი", "ლეგენდა თეთრ წეროზე", "ცეროდენა გოგონა" (ზღაპარი), "სიყვარული", "ბავშვთა უფლებების კონვენცია", "ჩემი სამშობლო, "რა ვიცი ომზე". ოცნების ქალაქი ყველას ერთნაირად ლამაზი წარმოუდგენია – კოხტა სახლებით დამშვენებული, მწვანეში ჩაფლული, მზით განათებული. აფხაზეთში დაბადებულ-გაზრდილი გოგო-ბიჭების მიერ დახატული ოცნების ქალაქში აუცილებლად არის ლურჯი ზღვა, პალმები და უზარმაზარი მზე. ასეთი დაამახსოვრდათ თავისი მშობლიური ზღვისპირა ქალაქი 11 წლის ნანა ფუტკარაძეს და 12 წლის დიმა მამარდაშვილს, მათ თანატოლებს ვასიკო მეტრეველსა და ეკა კოპალიანს. 10 წლის გიგა კუხალაშვილმა კი, ალბათ, იმისათვის, რათა სხვებში არავის არეოდა, დიდი მოწადინებით დახატულ თავისი ოცნების ქალაქს სახელიც წააწერა – ოჩამჩირე; სულ პატარა, 6 წლის სამაჩაბლოელ ქეთი რამიშვილს, რომელიც იქნებ სულაც თბილისშია დაბადებული, თავისი და თავისი წინაპრების მშობლიური სოფელი, ლამაზი ტყემლოვანა მონატრებია; აფხაზეთიდან ლტოლვილ მაკა გოგრიჭიანისთვის კი აგერ უკვე რამდენი წელია, გუდაუთა ქცეულა ოცნების ქალაქად...

მეზობლები ყველას კეთილებად წარმოუდგენია. ზოგმა მეხსიერებას შემორჩენილი იქაური მეზობლები დახატა მათი ეზო-კარით, ბაღ-ბოსტნით, ეზოში მოფუსფუსე, ხის ჩრდილში ჩამომჯდარი თუ ბურთის მოთამაშე, სხვებმა ახლად შეძენილი მეზობლები წარმოგვიდგინეს.

იქნებ 12 წლის ეკა ბენიძე თვითონ შეესწრო აფხაზეთის ომის საშინელებებს და ისიც ნახა, როგორ ბომბავდნენ ტანკები და თვითმფრინავები მის მშობლიურ მიწაწყალს, იმიტომაც გამოსულა მისი ნახატი ასე გამომსახველი. 9 წლის ვარლამ გვარლიანის ნახატზე თვითმფრინავი საცხოვრებელ სახლს ბომბავს, ტყვიები პირდაპირ ტრაექტორიით აღწევს ოთახში, სადაც ლოგინიდან წამომხტარი თავზარდაცემული პატარა ადამიანი მოჩანს. 12 წლის თეა ახობაძეს ნახატზე მუქი ფერის ტანკს მასზე ბევრად დიდი ჭრელი პეპელა თუ ჩიტი დაჰფარფატებს თავზე. ასე მარტივად გამოხატა პატარა მხატვარმა ბოროტის ძლევის მტკიცე რწმენა. თვითმფრინავები ისვრის, ტანკები ცეცხლს აფრქვევს, სახლები იწვის სამაჩაბლოელი ქეთი რამიშვილის (6 წ.), კახა ცისკაძის (12 წ.), მარიამ კოშკაძის (8 წ.), გელა მეითოვის (12 წ.), ზურაბ რამიშვილის (7 წ.), გიორგი კოშკაძის (13 წ.), გიორგი ბეგიაშვილის (14 წ.), მარი მაზმიშვილის (8 წ.), ნათია ნანიშვილის (6 წ.), ბექა ბუზიშვილის (11 წ.) ნახატებზე. აფხაზეთიდან ლტოლვილ 14 წლის ზაირა გოგუას კი მშობლიური მიწაწყლიდან ძალით აყრილი ადამიანების პირქუში პროცესია დაუხატავს, სვანეთისკენ მიმავალ ხსნის უღელტეხილს რომ შესდგომია. ბავშვების ყველაზე მეტყველი და ყველაზე მძაფრი ომის საწინააღმდეგო პროტესტია გამოხატული მათ ამ ნახატებში. ომმა დააკარგვინა მათ სახლ-კარი, ახლობლები, მეგობრები, უზრუნველი დღეები და უღრუბლო ცა, ომმა შეუქმნა



ეროვნული სხვაობით აღბეჭდილი "მტრის ხატი", ომმა და კონფლიქტმა ჩაუწვეთა გულში სიძულვილი, გონებაში კი შიში ჩაუბუდა. უყურებ ამ ნახატებს და გჯერა, რომ ეს ბავშვები, დღეს რომ ფანქრით ხელში გამოხატავენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ომისადმი, სადავო საკითხების მოსაგვარებლად იმავე ხელში იარაღს არასდროს აიღებენ.

ასოციაციის "ხელოვნება საზღვრებს გარეშე" წარმომადგენლებმა და მათმა იაპონელმა პარტნიორებმა ვორკშოპების მონაწილე ბავშვებს იმ იაპონელ გოგონაზე უამბეს, რომელიც ჰიროსიმაზე ატომური ბომბის ჩამოგდების შემდეგ მძიმედ დაავადდა, მაგრამ თავის ქვეყანაში გავრცელებული ლეგენდის ძალის სჯეროდა და ქაღალდისგან თეთრი წეროების გაკეთებას შეუდგა. მერე გოგონას მთელი მსოფლიოს ბავშვები ამოუდგნენ გვერდში და უამრავი ქაღალდის წერო გაუგზავნეს. ბავშვებმა ისიც გაიგეს, თუ რა დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ზოგადად თეთრ წეროს იაპონელებისათვის, მერე კი მათ დასახატად შესთავაზეს თემა "ლეგენდა თეთრ წეროზე". ეტყობა, ზურაბ სოლომონიას, აკაკი ჩოგოვაძეს და ჯონი სოლომონიას თვითონაც გაუჩნდათ მშვენიერ თეთრ წეროებზე ზრუნვის სურვილი და ეს სურვილი სრულიად შეუფარავად გამოხატეს ნახატებში. მათ ნამუშევრებში წარმოდგენილ იმ ბავშვებს შორის, რომლებიც წეროებს აჭმევენ და უვლიან, თითოეულმა უთუოდ საკუთარი თავიც იგულისხმა. თეთრი წეროს ლეგენდით მოხიბლულ გოგო-ბიჭებს იაპონელმა მასწავლებლებმა ორიგამის - ქაღალდისგან ფიგურების, უწინარეს ყოვლისა წეროების დამზადება ასწავლეს და ძალიანაც გაახარეს ამით. ბევრმა საკუთარ ნახელავ წეროს ზედ სურვილიც წააწერა. ამ სურვილებში კი მონატრებულ მშობლიურ ადგილებში დაბრუნება სჭარბობდა...

დასასრულ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ლტოლვილ ბავშვებზე ზრუნვით ჩაფიქრებულ-მომზადებულ პროექტს განხორციელება არ ეწერა, რომ არა დამფინანსებლებისა და ორგანიზატორების ძალისხმევა და დახმარება, მათ შორის კი უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ:

"იაპონია-საქართველოს ასოციაციის" პრეზიდენტი ბ-ნ კოჯი ოსავა, "ლტოლვილთა დანიის საბჭოს" პროექტების მენეჯერი ქ-ნი მარიანა კნუდსენი, "ლტოლვილთა ნორვეგიის საბჭოს" პროექტების მენეჯერი ქ-ნი მანანა გაბაშვილი, სოფელ დუისის ლტოლვილთა სკოლის მასწავლებლები ქ-ნი მადინა ალდამოვა და აიზა სადაევა, ასევე ორი იაპონელი გოგონა - მარიკა ოგასავარა და ჩიჰორო კავამოტო, რომლებიც საკუთარი ხარჯებით ჩამოვიდნენ ტოკიოდან ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად და აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის ორიგამების ხელოვნების სასწავლებლად.

# სიგარეტი სიკვდილით ემუქრება

მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თამბაქოს ნაწარმის გაყიდვის ამჟამად არსებული მოცულობის შენარჩუნების შემთხვევაში თამბაქოს წევით გამოწვეული დაავადებისაგან შეიძლება მეოთხედი მილიარდი ანუ 250 მილიონი ბავშვი გარდაიცვალოს. ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის სისტემასთან ერთად ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად, მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში სიგარეტს ეწევა 13-დან 15 წლამდე ასაკის ყოველი მეხუთე მოზარდი. გამოკვლევამ მოიცვა ბარბადოსი, კოსტა-რიკა, იორდანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ფიჯი, პოლონეთი, შრი-ლანკა, ჩინეთის ოთხი პროვინცია, ვენესუელისა და ზიმბაბვეს ორ-ორი ქალაქი, რუსეთისა და უკრაინის დედაქალაქები.



ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში ჩატარებული ორწლიანი გამოკითხვა-გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ მწეველი მოზარდების ერთმა მეოთხედმა 10 წელზე ადრეულ ასაკში დაიწყო თამბაქოს მოწევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატარა მწევე-



# 250 მილიონ ბავშვს

ლების უმეტესმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა თავი დაანებოს წევას, თუ ვინმე დახმარებას შესთავაზებს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ თუმცა გამოკვლეული ქვეყნების სკოლებში კი მიმდინარეობს თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანია, მაგრამ თავისი ეფექტურობითა და ზეგავლენით იგი ვერ შეედრება სიგარეტის აგრესიულ რეკლამას. თამბაქოს მოწინააღმდეგეთა აზრით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც წევის დაწყების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს, ასევე უკვე მწეველ ბავშვებთან მუშაობას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია კვლავაც გააგრძელებს გამოკვლევებს ორგანიზაციის წევრ 191 ქვეყანაში.

### რაც შეეხება საქართველოს:

სიგარეტის მწეველთა რაოდენობით ჩვენს ქვეყანას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოს იმ 149 ქვეყანას შორის, სადაც საგანგებო გამოკვლევა ჩატარდა. არსებული მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში 2 მილიონი მწეველია, მათგან ნახევარი 12-16 წლისაა. ბოლო 10 წელიწადში მწეველთა რაოდენობა 2-5-ჯერ გაიზარდა. ყველაზე სამწუხარო კი მაინც ის არის, რომ ბოლო ორ წელიწადში ძალზე იმატა მწეველ გოგონათა რიცხვმა.



თუ იმასაც დავძენთ, რომ ჩვენში გასაყიდად შემოტანილი თამბაქოს ხარისხი ნაკლებად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ავთვისებიან დაავადებათა გამომწვევი რადიოაქტიური ნივთიერებების შემცველობა მასში 25-ჯერ აღემატება დაშვებულს, ადვილად მიხვდებით, რომ ერთი მილიონი მწეველი ყმაწვილის სახით ქვეყანას პოტენციურად ავადმყოფი თაობა ეზრდება, ხოლო ისედაც მცირერიცხოვანი ხალხისთვის ეს კატასტროფის ტოლფასია!



დავუფიქრდეთ, რატომ არ გვყოფნის ელემენტარული გონიერება იმის გასაცნობიერებლად, რომ თუ უმრავლესობას მისაბაძ მაგალითად და ორიენტირად ცხოვრების ამერიკული წესი დაუსახავს ამ წესის დადებითი მხარეები უნდა გადმოიღოს დასანერგად. ამერიკაში სიგარეტს ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს: არ ეწევა პრეზიდენტი, არ ეწევიან მსოფლიო სახელის მქონე სპორტსმენები, თავი დაანებეს თამბაქოს კინო და როკვარსკვლავებმა, სასტიკად აიკრძალა მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში, აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, 2002 წლისათვის კი სიგარეტის მოწევა კანონმდებლობით ნარკომანიას გაუტოლდება.

თამბაქოს ნაწარმის ტელერეკლამა იაპონიაშიც აიკრძალა, და ეს პირველი ნაბიჯია ამ გზაზე...

ჩვენთან კი აბოლებენ და აბოლებენ დიდებიც და პატარებით ნაირ-ნაირ სიგარეტებს, თავი მოაქვთ, და ამით იმის დამტკიცებას ლამობენ, რომ, ასე ვთქვათ, "გოიმები" არ არიან, "მაღალ საზოგადოებას ეკუთვნიან, "თანამედროვეები" ბრძანდებიან, პირიქით კი გამოუდით...



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დი სნაიდერი: პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისთვის, ანუ როგორ მოვძებნოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში

... ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ შორდები საკუთარ მშობლებს და როცა უკვე მოზარდობაში შედიხარ, ხედავ, რომ უფსკრული თქვენ შორის თითქმის გადაულახავი ხდება. ახლა შენ საკუთარ თავს ეძებ, ამ ძიებაში კი მშობლებს გაურბიხარ. ეს იმიტომ ხდება, რომ შენი "შესანიშნავი პერსონა" მეტისმეტად დიდხანს იყო განუყრელად დაკავშირებული მათთან. ამ დროს მშობლებს ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები აწვალებს: ერთი მხრივ, მათ სიამოვნებთ, რომ შენ გაიზარდე, ტანი აიყარე და თანდათან "ადამიანს ემსგავსები", მეორე მხრივ, მათ აფიქრებთ და აღარდებთ მომავალი განშორება გუშინდელ ყრმასთან, სულ ახლახან ხელში აყვანილს რომ უნანავებდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვილი გაქრა. მშობლები კი ახალ არსებაში ყმაწვილს კი არ ხედავენ, არამედ გაუთლელ, უხეშ და თავხედ ტიპს და, დამეთანხმები, შენ მართლაც ხშირად ხარ ხოლმე ასეთი. ნოგ მშობელს საერთოდ არ უნდა იმის დანახვა, რომ ადამიანი გაიზარდა, და ზოგჯერ – განსაკუთრებით თუ ოჯახში ერთადერთი შვილია – ისევ ისე ექცევა მას, როგორც ჩვილს. მოზარდი კი – ეს განსაკუთრებით გოგონებს ეხება – ბოლოს და ბოლოს აჯანყდება და ისეთ რამეებს ჩაიდენს, რომ გულებს გაგიხეთქავთ, ამას თქვენ გასაგონად ვამბობ მეტისმეტად მოსიყვარულე ბებიებო და პაპებო! შეიბრალეთ საკუთარი შვილიშვილები, სხვა რამეზე გადაიტანეთ თქვენი ეგოიზმი!

თუ მშობლებთან პრობლემები არა გაქვს, ჩათვალე, რომ ბედნიერი ხარ.

## ამბოხი მშობლების წინააღმდეგ

პატარა რომ ვიყავი. სულ მამას ვბაძავდი, მისი მანერები და ქცევა ჩემთვის ეტალონი იყო. მერე კი, მოულოდნელად, როცა ცამეტი წელი შემისრულდა, ვიგრძენი, რომ მამას იდეალად აღარ აღვიქვამდი. თვითონაც მამა რომ გავხდი, მივხვდი, რომ არ არსებობს იმაზე სასიამოვნო გრძნობა, როდესაც ხედავ, როგორ ცდილობს შენი შვილი ყველაფერში მოგბაძოს, როგორი ტრთოლით და გულის ფანცქალით ეკიდება ნებისმიერ სისულელეს, შენ რომ ღრმააზროვანი გამომეტყველებით წარმოთქვამ. ყოველივე ამას მე ახლა ჩემს შვილთან ჯესისთან ურთიერთობაში განვიცდი. ჩემი ბიჭი სთხოვს თავის დედას ხელოვნური სვირინგი დაუხატოს, რათა თვითონაც ისეთი იყოს, "როგორიც მამაა". ჩემსავით მასაც აქვს თავისი მოტოციკლეტისტის ქურთუკი და მუხლებამდე გადაჭრილი ჯინსი. და მან ზეპირად იცის ყველა ჩემი სიმღერა.

იმ დღეს, როცა მიბაძვა მთავრდება, მშობლები თავს ზედმეტად გრძნობენ.

დედებს ესმით, რომ თექვსმეტი წლის ვაჟიშვილის ცხოვრებაში მათ ადგილს მეგობარი გოგონა ან ელექტროგიტარა იკავებს, მამები კი ხედავენ, რომ მეზობლის უქნარა ბიჭისა თუ სათაყვანებელი მასწავლებლის გამო საკუთარი ქალიშვილებისთვის ლამის ზედმეტები გამხდარან. მე მზად ვარ იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჯესისთვის საჭირო აღარ ვიქნები, რომ ის უარყოფს ჩემს პრინციპებსა და იდეალებს, – დიახ, მე მზად ვარ ამისთვის, იმიტომ რომ ეს მისი დავაჟკაცების ნაწილია. მშობლად ყოფნა იმასაც ნიშნავს, რომ მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ თქვენი ვაჟიშვილი ან ქალიშვილი ეჭვქვეშ დააყენებს შენს ძალაუფლებას, რომელიც ოდესღაც უდავო იყო.

დარწმუნებული ვარ, რომ მამაჩემი იმიტომ კი ვერ იტანდა ჩემს გრძელ თმას, რომ მოკლედ შეკრეჭილი თმა მოსწონდა. ჭეშმარიტი მიზეზი ის არის, რომ მას უნდოდა ისევ იმ პატარა დენი სნაიდერად, საკუთარი თავის მინიატურულ ვარიანტად ვეხილე, ამიტომაც თმა ისე უნდა მქონოდა გაკრეჭილი, როგორც მას ჰქონდა. ჩემი დალალები კი მამას სულ იმას შეახსენებდნენ, რომ მე ვიზრდებოდი და დამოუკიდებელი ადამიანი ვხდებოდი. და მე ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ, როცა თმას მოვუშვებდი, მამა ველარ მიხელმძღვანელებდა. ახლაც კი, როცა მიყურებს, მამა იმ დი სნაიდერს კი არ ხედავს, რომელსაც მთელი ქვეყანა იცნობს, – გრძელთმიანს, საყურეებიანს, სვირინგებიანს. მამა ხედავს პატარა დენის, თავის პირმშოს, თავის სიამაყეს, პირველ ნომერ შვილს...

## შენ და ისინი



## "როცა შენი მშობლები პატარები იყვნენ..."

არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ხშირად იწყებენ შენი მშობლები ამბის მოყოლას ამ სიტყვებით, მნიშვნელობა სხვა რამეს აქვს: სინამდვილეში მათ სულ არ ახსოვთ, რას ნიშნავს იყო პატარა, მით უმეტეს – მოზარდი. ან იქნებ, უბრალოდ არ უნდათ ამის გახსენება. ან შეიძლება, მაშინაც კი, თუ ახსოვთ, საჭიროდ მიაჩნიათ ამ საინტერესო ამბის რედაქტირებული ვარიანტით გაგიმასპინძლდნენ: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ შთამომავლობამდე მხოლოდ საკუთარი გმირობების ამბავი მოაქვთ.

მშობლებს რომ შეეძლოთ ბოლომდე გულწრფელები იყვნენ, ისინი გიამბობდნენ, როგორ უჯანყდებოდნენ საკუთარ მშობლებს, როგორ ავიწყდებოდათ ისინი, როცა მთელ ღამეს ტვისტის ცეკვაში ატარებდნენ, მეგობრების გარდა არავინ ახსოვდათ, ხოლო მშობლების წარმოდგენა წესიერ ცხოვრებაზე არაფრად მიაჩნდათ.

თუ არ გჯერა, ბებიას და პაპას, დეიდას თუ ბიძას დაეკითხე, ნუ გაიკვირვებ, თუ ისინი გიამბობენ, როგორ თავშეუკავებლად გაჰკიოდა ხოლმე აღტაცებული დედაშენი თავისი საყვარელი ანსამბლის კონცერტზე, ან როგორ დადიოდა მამაშენი ერთ ჰიპ გოგონასთან, როგორ არ იხსნიდა შავ სათვალეს შემოდგომაზეც კი და სა-

ხლშიც კი. ადვილი შესაძლებელია შენი მშობლები ზუსტად ისე იქცეოდნენ, როგორც შენ დღეს იქცევი.

მაგრამ მშობლების უმრავლესობა ვერ ან არ გამოტყდება იმაში, რომ როცა მოზარდები იყვნენ, თვითონაც ჰქონდათ პრობლემები.

შეიძლება მათ რცხვენიათ ამ მოგონებების, ან შეიძლება, ისინი შეგნებულად იხსენებენ მხოლოდ სასიამოვნო რამეებს. ასეთია ადამიანის ბუნება: მშობლების უმრავლესობა ვერ ეგუება იმ აზრს, რომ შეიძლება შენ მთლად იდეალურ შუქზე ვერ დაინახო ისინი. ამიტომ, როცა მამას ეკითხები, გამოცდებზე თუ ჩაჭრილხარო, პასუხად შეიძლება ისეთი რამ გაიგონო, რომ თმები ყალყზე დაგიდგეს: "რაო, გამოცდებზე თუ ჩაჭრილხარო?!! შენ იცი, რომ როცა შენხელა ვიყავი, შენზე სამჯერ მეტი ვიცოდი და შენზე სამჯერ მეტს ვაკეთებდი, სახლის უკანა ეზოში ბონდის ხიდი გავაკეთე და სამეცნიერო ექსპერიმენტებს ვატარებდი, გაციების მკურნალობის იაფი და ეფექტური საშუალება გამოვიგონე. და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. სკოლის შემდეგ სამ სამუშაოზე მოვეწყე, მათ შორის საფრანგეთში, და..." ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

თუ რომელიმე უფროსი ცხვირს ჩაყოფს ჩემი წიგნის ამ თავში, იცოდეთ, ჩემო კარგებო, მე თქვენ ისეთ რამეს გეტყვით!.. როცა შვილები გთხოვენ, თქვენი ბავშვობის, სიყმაწვილის შესახებ უამბოთ, ეცადეთ გულწრფელები და ალალები იყოთ. გაიხსენეთ, თვითონაც როგორ უჯანყდებოდით მშობლებს, როგორ ეძებდით საკუთარ "მეს", გაიხსენეთ ყველა სიგიჟე და სისულელე, რაც კი ჩაგიდენიათ, მოუყევით, დღემდე როგორ გახსოვთ ამბები, რომლებითაც სამართლიანად ამაყობთ. და გახსოვდეთ, რომ თუკი მშობლებს თავსატეხსა და გულისგასახეთქს არ აკლებდით, ახლა აღარაფრის უნდა გრცხვენოდეთ, ახლა ხომ ყველაფერი რიგზე გაქვთ. ეცადეთ ისიც გაიხსენოთ, როგორ უმწეოდ ჟღერდა თქვენი მშობლების სიტყვები: "ნუ წუხარ, შენ ჯერ ისე ახალგაზრდა ხარ, ყველაფერი გაივლის!", როცა თქვენ თქვენი პრობლემებით მიადგებოდით ხოლმე, რომლებიც თვითონ ძალიან მნიშვნელოვნად გეჩვენებოდათ, მათ კი ძალზე უმნიშვნელოდ. ან გაიხსენეთ, როგორ გირჩევდნენ ისინი: "ადექი და უთხარი ასე და ისე-თქო და ისტერიკაში ნუ ჩავარდები!" არადა, სხვათაშორის, მშობელი მოვალეა რეალურ პრობლემაზე რეალური პასუხი გასცეს. გახსოვდეთ ეს და ეცადეთ თქვენი შვილის ადგილზე დააყენოთ თავი და რაც ყველაზე მთავარია, ეცადეთ თანმიმდევრული იყოთ, გააწონასწოროთ მოწონება და კრიტიციზმი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მოზარდების მშფოთვარე სამყაროში არსებობს ერთადერთი საიმედო ნავსაყუდელი – მშობლები.

## როცა მშობლები უგუნურად არიან

ჩვენ ყველას – დიდებსაც კი – მშობლებისგან სტაბილურობა და საიმედოობა გვინდა.

მამაჩემი პოლიციელი იყო და ოჯახის შესანახად დაზღვევის აგენტადაც მუშაობდა. მაშინ მე ვერც კი წარმომედგინა, როგორ უჭირდა მამას, ახლა კი ყველაფერი კარგად მესმის. მეორე ხელფასი, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენი ოჯახის შედარებით კეთილდღეობას, დამოკიდებული იყო მის მიერ სადაზღვევო პოლისების რეალიზებაზე. ეტყობა, მამა წარმოუდგენელ ზეწოლას



განიცდიდა, როცა პოლისების გაყიდვას ვერ ახერხებდა, განწყობილება მკვეთრად უუარესდებოდა და ოჯახიც კოშმარში ინთქმებოდა. რამდენჯერ ყოფილა, მოვიდოდა სამსახურიდან, შეანარცხებდა თავის "კეისს" კედელს და რაიმე ხელმოსაკიდის ძებნაში, სახლში ბორიალს იწყებდა, რის გამოც შეეძლო მთელი ჯავრი ჩემზე და ჩემს ძმებზე ეყარა და თუ რამეს მიაგნებდა...

ბუმ! - გრუხუნით გადაყირავდებოდა ნაგვის ვედრო. "ფრენკი! ახლავე აქ მოდი! ახლავე!" ნაბიჯები კიბეზე, მერე კარის ჯახუნი: "ფრენკი! შე საზიზღარო! ახლავე ყველაფერი ახვეტე!" თუ მამას ცუდი დღე ჰქონდა, გასუსულები უნდა ვყოფილიყავით. მამა „მუსტანგის" მოდელის „ფორდით" დადიოდა, ამ „ფორდს" ისეთი ტრანსმისია ჰქონდა, საშინლად ღმუოდა და როგორც კი მის ხმას გავიგონებდით, ყველანი ვიძაბებოდით. ნეტავ, რა ხასიათზე იქნება მამა? როცა პოლისები კარგად საღდებოდა, მამა საოცრად კარგ ხასიათზე ბრუნდებოდა შინ და ყველას ზეიმი გვქონდა ხოლმე...

მაშინ მე არ მესმოდა, რომ როცა მძიმე დღის შემდეგ მამა შემოვარდებოდა და მიყვიროდა, ოთახი დაალაგეო, საქმე ჩემს ოთახში არსებულ ქაოსში კი არ იყო, ეს კი არ აბრაზებდა მამას. უბრალოდ, ის გაუყიდავი პოლისებით მოგვრილ ჯავრს ჩვენზე იყრიდა, ნერვიულობდა, ეშინოდა, ვაითუ ოჯახს გაუჭირდესო. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მისი დამთრგუნველი განწყობილება ოდნავადაც ვერ შეედრებოდა ჩემს შიშს ან ახლა დაიღრიალებს, ან ახლა-მეთქი. მე მიმაჩნია, რომ მშობლები ვალდებულები არიან გარკვეული სტაბილურობით უზრუნველყონ შვილები.

როცა დედას ან მამას სამსახურში უსიამოვნება შეხვდებათ ან როცა ისინი გადაუხდელი გადასახადების თუ ვალების, ან კიდევ თავიანთი მშობლების ავადმყოფობის გამო ნერვიულობენ, ისინი, ყველაფრის მიუხედავად, მოვალენი არიან მოთოკონ საკუთარი თავი, არ მოახვიონ საკუთარი ცუდი განწყობილება შვილებს თავზე. თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ყველამ კარგად ვიცით, რა ხდება, როცა ყველაფერში ხელი გეცარება, – მოზარდებიც ხშირად აწყდებიან ასეთ რამეებს.

თუ მშობლები რაღაც წვრილმანის გამო ან სულაც უმიზეზოდ გესხმიან თავს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ცუდი მშობლები არიან ან არ უყვარხარ.

ერთხელ მაინც რომ მოსულიყო მამაჩემი შინ და ეთქვა: "ბიჭებო, მომეშვით რა, ძალიან ცუდი დღე მქონდაო", – რამდენად გაგვიადვილდებოდა ყველას ცხოვრება. ისე რომ თუ სამსახურიდან დაბრუნებული დედა ან მამა მოღუშული იტყვის საქმეები ცუდად არისო, ეცადე თვალში არ მოხვდე, არ გააღიზიანო. უთხარი, მეც თქვენთან ერთად განვიცდი-თქო, დაამშვიდე, ყველაფერი კარგად იქნება-თქო. ასეთ დროს არამც და არამც არ სთხოვო ფული კონცერტზე თუ კაფეში წასასვლელად, ნურც საკუთარ დაზე შესჩივლებ, რომელმაც შენ დაუკითხავად გაუყარა ხელი შენს მაისურში. დაფიქრდი: იქნებ უმჯობესია, ცოტა ხნით გადადო ეს ყველაფერი და ხმა არ ამოიღო? თუ საქმე ითმენს, თავი გაარიდე მშობლებს, თუ არადა... ღმერთმა ხელი მოგიმართოს!



# რატომ ვამბობთ ასე?

**ტყემალზე ზის** – უვიცია, არაფერი გაეგება. მოგეხსენებათ, ტყემალს ხილეულში უკანასკნელი ადგილი უჭირავს, უკეთ, ხილად საერთოდ არ იხსენიება. მარტო ხილს დანატრებული ადამიანი თუ მოინდომებს ტყემლით პირის გასველებას, ხოლო როცა სხვა ხილიცაა და ამ დროს კაცი ტყემალზე ავა და თავსაც მოიტყუებს – ხილსა ვჭამო, და სხვასაც მოუნდომებს მოტყუილებას, იფიქრებენ, ეს კაცი ჭკუაზე ვერ არისო და პირში მიახლიან: ტყემალზე ზიხარო!

**ამაღამ ტურა და მგელი ერთად დაწვებიან** (ისე ცივა). – ძალიან ცივა, დაუძინებელ მტრებსაც კი დაავიწყდებათ ერთმანეთის მტრობა.

**უმზრახი წყალი** – უმანკო, ხელშეუხებელი. ხალხის აზრით, როცა სოფელში ყველა დაიძინებს, მთელი დღის დინების შემდეგ წყალიც ისვენებს, იძინებს დილამდე, სანამ ადამიანის ხმა არ შემოესმება, უმზრახად, წმინდად, უმანკოდ არის. ახალ წელიწადს, დილაადრიან, გლეხი (მეკვლე) ცდილობდა სახლში "უმზრახი წყალი" შეეტანა, – სიკეთე მოჰყვებაო.

**პირი-სახეზე ზეთი ჩამოსდის** – სულ დაღვრემილია, მოღუშულია.

**თაგვები სოროში შეათრევენ** – ითქმის ძალზე სუსტ, ბეჩავ, მიკნავებულ, უნებისყოფო ადამიანზე, რომელსაც ყველა ჩაგრავს და აბუჩად იგდებს.

**თელეთის გლახა** – უქონელი, უკანასკნელი მათხოვარი, სხვის ხელში შემყურე. თელეთი მთაა თბილისის სამხრეთით. 23 აპრილს აქ იმართებოდა დღეობა (თელეთობა) და მლოცველებთან ერთად უამრავი მათხოვარიც იყრიდა თავს. ისინი მლოცველებს არ ასვენებდნენ და სანამ არ გაიკითხავდნენ, არ მოეშვებოდნენ.

**თქვენი გამყრელი ბარი და ნიჩაბია** – ერთმანეთს მხოლოდ სიკვდილი დაგაშორებთ. ასე ეტყვიან მოყვარულ ცოლ-ქმარს და ამით გამოხატავენ იმ აზრს, რომ ერთმანეთს არ დაშორდებიან მანამდე, სანამ ბარი და ნიჩაბი არ გახდება საჭირო სამარის გასათხრელად, ე.ი. სანამ არ მოკვდებიან ან ორივე ერთად ან ერთი.

**თხები აუშვა** – თავს მეტისმეტი თავისუფლება მიანიჭა, ზრდილობის წესები დაარღვია. იგულისხმება თხების საქციელი, როცა ისინი მოუკორტნავს არაფერს ტოვებენ. თხებს დადარებულია ადამიანი, რომელიც წესიერებისა და მართებულობის ყოველგვარ კანონს ივიწყებს.

# რა და რა ჰქვია რას და რას




დედაბოძი




ფანჯარა



# სიტყვის კონა

**თავფქვილა** — სულელი, ზერელე ჭკუის პატრონი, ჩურჩუტი.

**თანამკვდარი** — ვინმესთვის თავგანწირული.

**თარაქამა** — უზრდელი, ტლანქი, ანჩხლი, საძაგელი.

**ტიკსუსუნე** — ღვინის სმის მოყვარული, ლოთი.

**რჩხა** — კაკვებიანი ჯოხი.

**სოვდაგარი** — დიდი ვაჭარი, ბითუმად მოვაჭრე.

**ჩაქურა** — გურულების, აჭარლებისა და მესხების ძველებური ტანსაცმელი — მოკლე წელზევითა ჩოხა და ვიწროტოტებიანი, თავგანიერი, ხვანჯრიანი შარვალი.

**ნალი** — ორი წლის თხა.

**ნალიკი** — სიგრძივ ერთიმეორის მიყოლებით მიმავალი ოთხფეხი ან ფრინველი. ნალიკად — გამწკრივებულად.

**ჭიჭკვი** — პატარა და მომცდარი ნედლი ტარო.

**ხარო** — ღრმა ორმო

**ხრილი** — ფქვილის მტვერი (წისქვილის ქვებზე). ხეზე დადებული მშრალი თოვლი. ჩურჩხელაზე, ტკბილის კვერზე თეთრად მოდებული შაქარი.

# კითხვა - თქვენი

**გვაინტერესებს, არის თუ არა საქართველოს მიწა-წყალზე ჩანჩქერები?**

*ეთერ რომაშვილი, ხათუნა პაპიაშვილი, ქ. კასპი*

საქართველოში საკმაოდ გვაქვს დიდ-პატარა ჩანჩქერები. ჩანჩქერების სიუხვით პირველ ადგილზეა მარტვილის რაიონი, მდინარე აბაშის აუზი. სწორედ აქ გადმოქუხს ძალზე მაღალი ჩანჩქერი, რომელსაც არსენ ოქროჯანაშვილის სახელობის მღვიმიდან გამომავალი კარსტული მდინარე წარმოშობს. მდინარე აბაშის ზემო დინებაში მღვიმიდან გამომდინარე წყალი 30 მეტრიდან ეცემა. დასავლეთ საქართველოშია ოჩხომურის სამსაფეხურიანი ჩანჩქერიც, რომლის ჯამური სიმაღლე 100-120 მეტრია. ულამაზესი ჩანჩქერებია მდ. ინწრას სათავეებში (წალენჯიხის რაიონი). ჩანჩქერებით მდიდარია მდინარე ოკაცე, ბევრ ჩანჩქერს აჩენს სათავეებში მდ. ლეხიდარი. ლეჩხუმში გადმოქუხს ღვირიშის, ჩქუმის და სხვა ჩანჩქერები. ბევრი ჩანჩქერია აფხაზეთშიც. მდინარე კლიჩზე (გვანდრას შესართავი) წყალი 100 მეტრის სიმაღლიდან ეშვება. მაღალი ვარდნით გამოირჩევა აწაფის, ჩხალთაძიხის, ხეწკვარას ულამაზესი ჩანჩქერები.

შედარებით ნაკლებადაა ჩანჩქერები აღმოსავლეთ საქართველოში. მშვენიერი სანახავია ლაგოდეხის ნაკრძალის ულამაზეს ლანდშაფტთან შეხამებული ლაგოდეხის ხევისა და ნინოსხევის ჩანჩქერები. მრავლად გადმოედინება ჩანჩქერები ალაზნის მარცხენა შენაკადების ხეობებში. ყველაზე დიდი ვარდნა აქვს მდ. ჭართლისხევის სათავეში მოქცეულ 45 მეტრიან ჩანჩქერს. ბევრია ჩანჩქერი მდინარე ივრის სათავეებში, თეთრი არაგვის შემდინარე ერეთოსწყლის მაღალი ჩანჩქერის თეთრი სვეტი კი საქართველოს სამხედრო გზიდანაც მოჩანს. არის ჩანჩქერები ყაზბეგის, ჯავის, დმანისის, ბორჯომის რაიონებში, პატარ-პატარა ჩანჩქერები კი თბილისის მიდამოებშიც გვხვდება.

**ძალიან მიყვარს ცხენები და მინდა ვიცოდე, თუ არსებობს ქართული ცხენები?**

*ზაზა ზარანდია, ქ. თბილისი*

არქეოლოგიური გათხრები თუ ისტორიის ფურცლები გვიამბობს, რომ ქართველ ტომებს უძველეს დროშივე ჰყოლიათ ყველა შინაური საქონელი, მათ შორის ცხენიც. ცხენს ოდითგანვე თვალსაჩინო ადგილი ეკავა ჩვენი ხალხის ყოფაში. ქართველისთვის ცხენი მუდამ იყო განუყრელი მეგობარი, ჭირისა და ლხინის ერთგული გამზიარებელი. საქართველოში ყოველთვის მრავალი ჯიშის ცხენი იყო გავრცელებული. ამაზე მეტყველებს თუნდაც, ის, რომ ცალკეულ სათავადოებს საკუთარი, სხვებისგან გამორჩეული ცხენის ჯიშები ჰყოლიათ.

ჩვენში გავრცელებულ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ჯიშად აღიარებულია თუშური ცხენი. თუშური ცხენი გამოირჩევა საოცარი გამძლეობით. პროფესორი დ. კობალავა ასე ახასიათებს ამ ჯიშს: "თუშური ცხენი გამოყვანილია აღმოსავლეთ საქართველოს მთაგორიანი ზონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, მასობრივი სელექციის გზით. ეს ენდემური, ადგილობრივი ჯიშია. ტანად პატარა, მკვრივი აგებულობისაა, ფერად უმთავრესად ქურანაა... თუშურ ცხენს ისტორიულად იყენებდნენ სამხედრო დანიშნულებისათვის და მომთაბარე მეცხოველეობაში. მთაში საჯდომ-სასაპალნე მუშაობისთვის უბადლოა."

მეტად გამძლე და ჯაფის ამტანი მეგრული ცხენიც კარგად არის შეგუებული გარემო პირობებს, იგი კვებისა და მოვლა-შენახვისადმი მაინცდამაინც დიდი მოთხოვნილებისა არ არის. ეს ჯიში ოდითგანვე გავრცელებულია მხოლოდ დასავლეთ საქართველოში.

**რა ფერისაა ზებრა: მუქი ფერისაა და ბაცი ზოლები აქვს, თუ პირიქით - თეთრია და შავი ზოლები აქვს?**

*თამთა ციხისელი, გორი*

თამთა, რომ იცოდე, ამერიკის ეროვნულ გეოგრაფიულ საზოგადოებაში რამდენიმე წელი იმტვრევდნენ თავს იმის გასარკვევად შავზოლიანი თეთრი ცხოველია ზებრა, თუ თეთრზოლიანი შავი. ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად ერთხელ და სამუდამოდ დადგინდა: ზებრა არის ბაცი ფერის ცხოველი მუქი ზოლებით.

# პასუხი - ჩვენი

# ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისათვის"



**1. თბილისში, საკაბის მოედანზე აღმართული დიდი მოურავის ძეგლის ავტორია მოქანდაკე...**

ა) ... ელგუჯა ამაშუკელი

ბ)...თენგიზ ლვინიაშვილი

გ)... მერაბ ბერძენიშვილი



**2. დიდი მხედართმთავარი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, თავადი პეტრე ბაგრატიონი სასიკვდილოდ დაიჭრა 1812 წელს...**

ა) ... ბოროდინოს ველზე

ბ)... ბერეზინთან

გ)... სმოლენსკის მისადგომებთან.



**3. პირველი ქართველი ავიატორი იყო...**

ა) ...ბესარიონ ქებურია

ბ)... ჭიჭიკო ბენდელიანი

გ)... ოთარ ჩხეიძე ჩეჩელაშვილი



**4. ამ ქვაში გამოქანდაკებული პორტრეტით დიდმა ქართველმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ უკვდავყო XII საუკუნის პოეტისა და მოაზროვნის.... სახე**

ა) ... არსენ იყალთოელის

ბ) ... გიორგი ჩახრუხაძის

გ) ... შოთა რუსთაველის.



**5. "დევიდ კოპერფილდის" ავტორია დიდი ინგლისელი მწერალი...**

ა)... ჯონათან სვიფტი

ბ)... ჩარლზ დიკენსი

გ)... ვალტერ სკოტი.

**ვიქტორინის წინა ტურის სწორი პასუხები:**

1. ნიდერლანდი, ლუქსემბურგი, ბელგია 2. ვილჰელმ კონრად რენტგენს 3. "კაცია-ადამიანი?!" 4. ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლისა. 5. სომხური.

# ...ჩემს მხოლოდ დღიურს ვაანდობდი...

*მომავალ გაზაფხულზე 15 წლის გავხდები, მაგრამ ჯერ არავინ მყვარებია. თითქმის ყველა ჩემს დაქალს ჰყავს შეყვარებული, მე კი – არა. გოგოები მეუბნებიან, შენი ბრალია, არაჩვეულებრივ ბიჭს ეძებო. არ ვიცი, რას გულისხმობენ, როცა ამას ამბობენ? არაჩვეულებრივს სულაც არ ველოდები, მაგრამ მინდა იყოს ნორმალური შესახედაობის, არ იგინებოდეს (გოგოების თანდასწრებით მაინც), ჩასაცმელ-დასახურისა და უცხოური მანქანების გარდა, სხვა რამეებიც აინტერესებდეს, ვთქვათ, ლიტერატურა, კლასიკური მუსიკა, უყვარდეს ცხოველები...*

*ერთხელ ჩემს კლასელ გოგოებთან რომ ვთქვი, ასეთი და ასეთი ბიჭები მომწონს-მეთქი, მასხარად ამიგდეს, ჩამორჩენილი, "გოიმი" ხარო... რა ვიცი, იქნებ ასეც არის, მაგრამ მე მაინც ველოდები ასეთ ბიჭთან შეხვედრას, ველოდები სიყვარულს, რომელიც რატომღაც იგვიანებს.*

**მზია, 14 წლის.**

მზია, რა კარგი გოგო ყოფილხარ! არ შეგეშინდეს და არც იმედი გადაიწურო, შენ აუცილებლად გეწვევა სიყვარული. ბოლოს და ბოლოს, შენ არც ისე დიდ მოთხოვნილებებს უყენებ ბიჭს, რომელიც შეიძლება მოგეწონოს, შეგიყვარდეს კიდეც. არიან ასეთი ყმაწვილები შენ ირგვლივ, როგორ არ არიან და ერთ მშვენიერ დღეს, თეატრში იქნება, კონცერტზე, ამხანაგის დაბადების დღეზე თუ უბრალოდ ქუჩაში, შენ და ის აუცილებლად გამოარჩევთ ურთიერთს სხვებში, იგრძნობთ, რომ სჭირდებით ერთმანეთს და თქვენი ურთიერთობაც აეწყობა. ისე რომ გული არ გაიტეხო!

* * *

*ინგლისურს ბავშვობიდან ვსწავლობ, ახლა მერვე კლასში ვარ და შეიძლება ითქვას, რომ საფუძვლიანად ვიცი ეს ენა. სხვა საგნებშიც მეტ-ნაკლებად ძლიერი ვარ. ჩემი მშობლები საკმაოდ შეძლებულები არიან და ამის წყალობით, ინგლისურშიც ისევ ვმეცადინეობ კერძოდ და კომპიუტერზეც დავდივარ. დედა და მამა ახლავე მაჩვევენ იმ აზრს, რომ ორ-სამ წელიწადში უცხოეთში გამგზავნიან სწავლის გასაგრძელებლად, რომელიმე პრესტიჟული პროფესიის დასაუფლებლად. მე კი სულ არ მინდა არსად წასვლა იმიტომ, რომ ერთი გოგო მიყვარს, სიგიჟემდე მიყვარს, იმასაც ვუყვარვარ. მშობლებს ამას ვერ ვეუბნები, მეშინია არ ამიკრძალონ მასთან შეხვედრა. საბაბს იშოვნიან, ან მეტყვიან, რა დროს შენი სიყვარულია, ხელს შეგიშლისო, ან ჩვენი ოჯახის შესაფერისი არ არისო. ერთხელ კი ვეცადე მეთქვა, აქაც ხომ შეიძლება სწავლა-მეთქი, მაგრამ არც კი დამამთავრებინეს. სწავლა როგორ არ მინდა, მაგრამ სიყვარულის დაკარგვის მეშინია.*

**ზაზა ჭ.**

ზაზა, ხალხურმა გამოთქმამ ხომ არ შეგაშინა, "თვალი თვალს რომ მოსცილდება, გულიც გადასხვაფერდებაო"? თუ შენ და იმ გოგონას მართლა გიყვართ ერთმანეთი, რამდენიმე წლით განშორებამ გრძნობა არ უნდა გაგინელოთ. ცხადია, სწავლა და თუნდაც "პრესტიჟული პროფესიის" დაუფლება აქაც შეიძლება, მაგრამ რადგან შენს მშობლებს გადაჭრით გადაუწყვეტიათ შენი უცხოეთში გაგზავნა, ალბათ, არ უნდა შეეწინააღმდეგო. იქნება ასე ჯობდეს კიდეც, ეს დრო თქვენი სიყვარულის თავისებური გამოცდა იქნება და თუ ამ სათუთმა გრძნობამ მას გაუძლო, ორივენი უბედნიერესები იქნებით, თუ არადა მიხვდებით, რომ ეს მხოლოდ დროებითი გატაცება ყოფილა.

* * *

*დილით ძნელად ვიღვიძებ, დედამ თუ არ შემიძახა და არ შემანჯღრია, შემიძლია ვიძინო და ვიძინო. სამაგიეროდ, ღამე დიდხანს ვწვალობ, ვერ ვიძინებ. რა წამალს მირჩევდით?*

**ნათია, 13 წლის**

შენი მდგომარეობა სავსებით ბუნებრივი მიზეზებით აიხსნება და ამდენად არანაირი წამლის დალევას არ გირჩევთ. შეგიძლია საღამოობით თბილი შხაპი მიიღო ხოლმე, რომელიც დაძაბულობას ხსნის, კუნთებს ადუნებს და ორგანიზმს ძილისთვის ამზადებს. ოთახში, რომელშიც გძინავს, ფანჯარა ღია უნდა იყოს. კარგი იქნება,თუ გაღვიძებისთანავე მიიღებ კონტრასტულ შხაპს: ჯერ ძალიან თბილი წყალი გადაივლე, მერე – ცივი, ასე გაიმეორე 5-6-ჯერ და პროცედურა ცივი წყლით დაამთავრე.

# ფული ლამაზიც უნდა იყოს

პირველად ქაღალდის ფული თითქმის ათასი წლის წინათ გამოჩნდა. ფულისთვის ქაღალდს სპეციალური რეცეპტით ამზადებდნენ თუთის ხის ქერქის შიდა შრისგან. ქერქს აქუცმაცებდნენ, ლაბასავით მასას იღებდნენ, მისგან კი ქაღალდს ამზადებდნენ. ფართო გავრცელება ქაღალდის ფულმა XX საუკუნეში ჰპოვა. თავიდან ფულს წარმოადგენდა ბანკის ბილეთები - ბანკნოტები. მათ უკვე აღარ სცვლიდნენ ოქროსა და ვერცხლზე, ბანკნოტებმა დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო და სამუდამოდ დარჩა მიმოქცევაში, თუმცა კი უწინდელი სახელწოდება შეინარჩუნა.

ქაღალდის ფულს ღირებულება არა აქვს, ის მხოლოდ და მხოლოდ ცვლის სრულფასოვან ფულს, ანუ ოქროს. ოქრო ბანკში დევს, მიმოქცევაში კი მისი "წარმომადგენლები" - ქაღალდის ნიშნები ტრიალებს. ნებისმიერი ქვეყნის ფულია სახავს მის ისტორიას, სახელმწიფო მოწყობას, ხოლო ზოგჯერ ხალხურ ადათ-ჩვევებსაც კი. ყოველი ქვეყანა ისწრაფის ლამაზი ფული ჰქონდეს. ეს ღირსების საქმეა. ბევრი სახელმწიფოს ფულის ნიშანი ხელოვნების ჭეშმარიტი შედევრია.

როგორც წესი, ფულზე გამოსახავენ სახელმწიფოს გერბს, სახელმწიფოს მეთაურის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სახელოვანი თანამემამულის პორტრეტს. ზოგჯერ ცალი მხარე დათმობილი აქვს ალეგორიულ გამოსახულებას, ისტორიული ძეგლის ნახატს, დამახასიათებელ ლანდშაფტს და ა.შ. ხომ გახსოვთ, საქართველოს ფულის ნიშნებიდან ერთლარიანზე ნიკო ფიროსმანის, ორლარიანზე – ზაქარია ფალიაშვილის, ხუთიანზე – ივანე ჯავახიშვილის, ათიანზე – აკაკი წერეთლის, ოციანზე – ილია ჭავჭავაძის, ორმოცდაათიანზე – თამარ მეფის, ასიანზე კი დავით აღმაშენებლის გამოსახულებაა. ეს ბანკნოტების ცალ მხარეს, მეორე მხარეზე კი შესაბამისად გამოსახულია თბილისის ხედი, ფიროსმანის "ირემი", ვახტანგ გორგასლის ძეგლი, თბილისის უნივერსიტეტი, დავით კაკაბაძისეული "იმერეთი – დედაჩემი". და ა.შ. 1 გირვანქა ინგლისური სტერლინგის ბანკნოტის კუთხეში გამოსახულია ქალის ფიგურა, რომელსაც ხელში შუბი უჭირავს. 5 გირვანქის ბანკნოტი ბაძავს ძველებურ "ბანკირის ბილეთს", რომელიც ხელით იწერებოდა: ტექსტის ნაწილი მთავრული ასოებით არის შესრულებული, უკანა მხარე კი სულ სუფთაა. ხელნაწერი გამოსახულების მიბაძვით არის შესრულებული გირვანქის ნიშანიც. ამავე ღირებულების სხვა სახის ბანკნოტიც არსებობს. მის ცალ მხარეს წმინდა გიორგია, რომელიც ურჩხულს ამარცხებს, მეორე მხარეს კი – ლომი, რომელსაც ჯაჭვიანი გასაღები უპყრია. ლომის გამოსახულება ინგლისის სახელმწიფო გერბში შედის.

20 შილინგიან ავსტრიულ ბანკნოტზე ქიმიკოს აუერ ფონ ველსბახის გამოსახულებაა, რომელიც 1858-1929 წლებში ცხოვრობდა. ბანკნოტის მეორე მხარეზე იუგოსლავიის მოსაზღვრე ავსტრიის ნაწილისთვის დამახასიათებელი მშვენიერი მთის პეიზაჟია. მეორე დიდი ავსტრიელის - XIX საუკუნის დრამატურგის ფრანც გრილპარცერის პორტრეტია მოთავსებული 100 შილინგიანზე. პორტრეტის ქვემოთ გამოსახულია ბატის ფრთა და თეატრის სიმბოლო - ტრაგიკული ნიღაბი. მეორე მხარეს კი დუნაისპირა სოფლის ხედია.

არგენტინელებს 1 პესოს ღირებულების ბანკნოტზე ეროვნული ზარაფხანა აღუბეჭდავთ.

როგორც ცნობილია, ბელგიის მოსახლეობის ნაწილი ფლამანდიურ ენაზე ლაპარაკობს, ნაწილი კი – ფრანგულზე. ეს ბელგიურ ფულზეც აისახება: ყველა ბანკნოტის ერთ მხარეზე ფრანგული წარწერებია, მეორეზე – ფლამანდიური. 50 ფრანკიან ბილეთზე მიწათმოქმედის შრომაა ასახული – მამაკაცები ხეს რგავენ, ცელს ლესავენ, გლეხის ქალებს ხელეური და ხილით სავსე კალათა უჭირავთ.

ნიდერლანდისთვის დამახასიათებელი პეიზაჟებით არის დამშვენებული ამ ქვეყნის ფული: ზღვა, სანაპირო ზოლი, უზარმაზარი რკინიგზის ხიდები, კაშხლები, იალქნიანი გემები. 1955 წელს გამოშვებულ 25 გულდენიანზე აღბეჭდილია XVII საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ასტრონომი კრისტიან ჰიუგენსი. ბანკნოტი მეორე მხარეზე გამოსახულია ჰიუგენსის ქანქარა. 1000 გულდენიანზე მოთავსებულია დიდი მხატვრის რემბრანდტის პორტრეტი და მისი ჯადოსნური ფუნჯის გამოსახულება.

ქვეყნის კულტურის ისტორიაა ასახული ბერძნულ ფულზე. სხვადასხვა ღირებულების ბანკნოტებზე დიდი ფილოსოფოსებიც არიან გამოსახულები (დემოკრიტე, პლატონი, სოკრატე): ღმერთებიც, მითიური გმირებიც, უძველესი დროის მხედართმთავრებიც (ათინა, აფროდიტე, პერიკლე, ფემისტოკლე, ალექსანდრე მაკედონელი). აქ ისტორიული ომების, საზღვაო ბრძოლების სცენები, ტაძრების ნანგრევები, მრავალნიჩბიანი ხომალდებიც არის აღბეჭდილი.

დანიელებს ათკრონიან ბანკნოტზე დიდი მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენი გამოუსახავთ, ხუთკრონიანზე კი – ცნობილი მოქანდაკე ტორვალდსენი. ინდოეთის ყველა საბანკო ბილეთზე წინა მხარეს, მარჯვნივ გამოსახულია ლომის სამი სტილიზებული ფიგურით დამშვენებული სვეტი ("აშოკის სვეტი"). რადგან ინდოეთი მრავალეროვანი რესპუბლიკაა, ტექსტი მის ფულზე დაბეჭდილია აქ მოსახლე ხალხების შვიდრვა ენაზე. ინდური ფული მაინცდამაინც მდიდრული ფერებით არ გამოირჩევა, მასზე მოთავსებულ ნახატებზე ძირითადად ქვეყნის ფაუნის წარმომადგენლებს ვხედავთ. ბევრ ირანულ ბანკნოტზე მოთავსებული ნახატები მიძღვნილია სპარსული მეფის დარიუს დიდისადმი, რომელმაც, როგორც ამბობენ, გა-

მოუშვა დედამიწაზე ერთ-ერთი პირველი მონეტა – დარიკი. ნახატების უმრავლესობა ძველი დროის ხელოვნების ნაწარმოებების რეპროდუქციებს წარმოადგენს. ერთ ბანკნოტზე დარიუსი ტახტზე ზის და ქურუმს იღებს; მეორეზე “დიდი დარიუსის ბეჭედია”, რომელზეც აღბეჭდილია საომარი ეტლი და ორი მხედარი. ერთ მათგანს შვილდი მოუზიდავს და ეტლის წინ უკანა თათებზე შემდგარ ლომს უმიზნებს. ორი ისარი უკვე მოხვედრია ნადირთ მეფეს. მეორე მხედარი გაჭენებულ ცხენს იოკებს. აი დარიუსისეული პერსეპოლისის სასახლის ნანგრევები, რომლებსაც დღემდე შემოუნახავთ გარდასული დიდებულება.

მკაცრი და პირქუშია ისლანდიის ბუნება და მისი ხასიათის შესატყვისად, ამ ქვეყნის ფულიც მეტად მოკრძალებულად გამოიყურება. ყველა კუპიურისთვის ერთნაირ ჩარჩოებში მოთავსებულია ისლანდიის პეიზაჟები: ჩანჩქერი, ნავსაყუდელი კლდის ქარაფთან, რამდენიმე მეთევზის ნავი, ცხვრის ფარა, თოვლით დაფარული მიწა.

თანამედროვე იტალიის თითქმის ყველა ღირებულების საბანკო ბილეთებზე გამოსახულია ქალის ფიგურები. გამონაკლისს წარმოადგენს 10 ათას ლირის ღირებულების ბანკნოტი, რომლის ცალ მხარეზე მოთავსებულია დიდი იტალიელი პოეტის დანტეს პორტრეტი.

ერთგვარად უჩვეულოდ გამოიყურება კანადური ფული, ეს არის ქაღალდში ჩაწნეხილი ციცქნა მომწვანო დისკოები. ისინი თითქოს მთელ ფურცელზეა მიმობნეული. XVI საუკუნეში კანადის მიწა-წყალზე ფრანგებმა იწყეს დასახლება. მაგრამ კანადაში ინგლისელებიც სახლობდნენ. ფრანგებსა და ინგლისელებს შორის განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა. შვიდწლიანი ომი იმით დამთავრდა, რომ 1763 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით კანადას ინგლისი დაეუფლა. XIX საუკუნეში კი კანადა ბრიტანეთის დომინიონი გახდა, თუმცა აქ დღესაც ძალზე ბევრი ადამიანი ლაპარაკობს ფრანგულად. ამიტომაც კანადურ ფულზე ორენოვანი წარწერებია: ფრანგული და ინგლისური.

1937 წელს გამოშვებული ბანკნოტები დამშვენებულია ნახატებით: ქალი ფოცხით, ფიწლით და ბარით მიწათმოქმედებს განასახიერებს; მწიფე ხილით დახუნძლული ხის ჩრდილში მჯდომარე ქალი - ნაყოფიერებას; ძველებურ ტანსაცმლიანი ქალი მიკროფონის წინ - რადიოს გამოგონებას.

კანადურ ფულზე მამაკაცის ფიგურების სიმბოლური გამოსახულებებიც არის. ათლეტური აგებულების მამაკაცს ხელში ურო უჭირავს, მის ფერხთით კბილანებიანი ბორბალი დევს. შორს ელექტროსადგურის კაშხალი მოჩანს. ეს ელექტროენერგიის სიმბოლოა. უზარმაზარი საზღვაო გემი ნავსადგურში, პორტის ამწეები, გიგანტურ ვიადუკზე მიმავალი მატარებელი, ამის ფონზე კი გამოსახულია ფეხებზე ფრთებგამოსხმული მერკური, გზებისა და ვაჭრობის ძველრომაული ღმერთი.

1954 წელს გამოშვებულ ყველა ღირებულების კანადურ ბანკნოტზე ცალ მხარეზე ინგლისის დედოფალი ელისაბედ II-ს პორტრეტია, მეორეზე კი - პეიზაჟები. პეიზაჟებზე სტეპიც არის, სოფლის ველიც, მთის ნაკადიც, პიტალო კლდეც, დათოვლილი ნაძვებიც, ატლანტის ოკეანეც.სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აშშ-ს ყველა ფულის ნიშანი ერთი ზომისაა – 156,4X66,6 მილიმეტრი. თითოეულ კუპიურაზე აშშ-ს ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტია. 1 დოლარიანზე – პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონის, 2 დოლარიანზე – პრეზიდენტ თომას ჯეფერსონის, 5 დოლარიანზე – პრეზიდენტ აბრამ ლინკოლნის და ა.შ. დოლარს ხშირად ასეთი ნიშნით გამოსახავენ $. ეს ნიშანი აშშ-ში 1786 წლამდე მიმოქცევაში არსებული ესპანური “სვეტის პიასტრის” მემკვიდრეობაა. ასე ერქვა ძველად ორ კლდეს ჰიბრალტარის სრუტის ორივე მხარეს, რომლის წყლებიც ესპანეთის ნაპირებს აკრავს. ფრანგული ბანკნოტები სხვა ქვეყნების ფულის ნიშნებისაგან განსხვავებით, გლუვ ქაღალდზე კი არ იბეჭდება, არამედ “ვაფლისებურზე”. მისი ზედაპირი მცირე ჭდეებით არის დაფარული. ბანკნოტები მრავალფეროვნად არის გაფორმებული. მათზე გამოსახულია სიმბოლური ნახატები, გამოჩენილი ფრანგი ადამიანების პორტრეტები.

შვეიცარიული ბანკნოტების ფართის დიდი ნაწილი დაფარულია რთული ნახატის თხელი ბადით და გადახლართული ნახჭებით. ისევე როგორც ინგლისურ ბანკნოტებზე, შვეიცარიული ფულის ნიშნების ქაღალდშიც ლითონის წმინდა ძაფია ჩაწნეხილი: თუ ბანკნოტს სინათლეზე გახედავთ, ამ ძაფს ადვილად დაინახავთ. ფულის ნიშნებზე აღბეჭდილია ადამიანები შრომის პროცესში, ყვავილები, სახელგანთქმული ადამიანები. პირქუშად გამოიყურება 1954 წელს გამოშვებული 1000 ფრანკიანი ბანკნოტი, რომელზეც დახატულია “სიკვდილის ცეკვა”. შავი მოსასხამით შემოსილი სიკვდილი მოხუცისაკენ მიეშურება, ცეკვავს ქალიშვილთან, მას თან მიჰყავს მშვენიერი ჭაბუკი.

1967 წელს გამოშვებულ პოლონურ 1000 ზლოტიანზე ცალ მხარეს მოთავსებულია გენიალური პოლონელი ასტრონომის კოპერნიკის პორტრეტი, უკანა მხარეს კი – მზის სისტემა. კოპერნიკი პირველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პლანეტათა სისტემის ცენტრში იმყოფება მზე, და არა დედამიწა, როგორც ეს ადრე ეგონათ.

ფულის ნიშანს სიცოცხლეს ხელოვნება აძლევს. ისევე, როგორც მონეტა, ბანკნოტიც ჯერ მხატვრის ესკიზზე ჩნდება. შემდგომში გრავიორს ნახატი ლითონზე გადააქვს. ეს ძალიან ზუსტი და რთული სამუშაოა, რომელიც მეტად ფაქიზად, დიდი რუდუნებით სრულდება.

# ფული ლამაზიც უნდა იყოს

# ვითომ ყველა ბურთი მრგვალია?



ფეხბურთისა

"დრეკადი ან მკვრივი მასალისაგან დამზადებული მრგვალი საგანი, იყენებენ სპორტულ თამაშებში", – ასეა განმარტებული სიტყვა "ბურთი" ლექსიკონებში. მოდით, ახლა, წამით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა და რა არ იქნებოდა, რომელიღაც ჩვენ წინაპარს ეს, თითქოსდა სულ უბრალო და მხიარული "მრგვალი საგანი", რომ არ გამოეგონებინა.



რაგბისა

კალათბურთისა

რა იქნებოდა და – საყოველთაო მოწყენილობა.

რა არ იქნებოდა და –

ფეხბურთი,
კალათბურთი,
ფრენბურთი,
წყალბურთი,
ჩოგბურთი,
მაგიდის ჩოგბურთი,
ხელბურთი,
ცხენბურთი,
მოტობურთი,
რაგბი,
ბურთიანი ჰოკეი,
ბადმინტონი,
ლელო,
ლაპტა,
პელოტა,



ხელბურთისა

და კიდევ უამრავი სხვა სპორტული თამაში, ურომლისობაც დღეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

ყველა თამაშს თავ-თავისი ბურთი აქვს, რომლებიც წონითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ზომითაც, დიამეტრითაც, მასალითაც, საფარის სისქითაც და, ის კი არა, ზოგჯერ ფორმითაც. ბურთების უმრავლესობა ტყავის საფარისა და გასაბერი კამერისგან შედგება. არსებობს დატენილი ბურთებიც, რომლებიც შალის ან ბამბეულის ანაჭენძით, ბამბით, ზღვის ბალახის ან ძუით არის ამოვსებული.

ფეხბურთისა და ფრენბურთის ბურთები ტყავის ცალკეული ნაჭრებისგან იკერება, რათა ბურთს სფეროს სწორი ფორმა ჰქონდეს, სხვანაირად ის ვერ იგორებდა.

გასაბერი ბურთებიდან ყველაზე მძიმე კალათბურთის ბურთია – იგი 600-650 გრამს იწონის. ყველაზე მსუბუქი მაგიდის ჩოგბურთის, პინგ-პონგის ბურთია – 2,5 გრამი. პირველი მათგანი, რეზინისაა – ასეთი ბურთი უკეთესად ხტის, მეორე თხელი ცელულოიდისგან არის დამზადებული.

ბურთიანი



ჰოკეისა



მაგიდის ჩოგბურთისა

ჩოგბურთის ბურთიც რეზინისაა, მაგრამ რეზინის გარსს ზევიდან ხაოიანი მაუდი აქვს გადაკრული. ეს მას მეტ დრეკადობას აძლევს, იმიტომ რომ შალის ხაოები კარგად ზამბარავს და ბურთი ადვილად ხტება მოედნიდან.

განსაკუთრებული, ნესვის მოყვანილობისაა რაგბის ბურთი, რა თქმა უნდა, ესეც სპორტის ამ სახეობის თავისებურებით არის განპირობებული.

ჩოგბურთისა





განსაკუთრებულია ბადმინტონის ბურთიც, იგი წარმოადგენს პლასტმასის ან კორპის სფეროს, რომელზეც ტყავი ან მისი შემცვლელია გადაკრული და ზედ პლასტმასის ან ფრთის სტაბილიზატორია დამაგრებული, რაც იმისთვის არის საჭირო, რათა ვოლანმა გარკვეული მდგომარეობა შეინარჩუნოს ჰაერში.



წყალბურთისა

"ყველა თამაშობაში ბურთაობა მეფეა და ჯირითი დედოფალიო", – უთქვამს ჩვენს ხალხს და აბა, რაღა გასაკვირია, რომ ქართველებს ბურთთან დაკავშირებული ამდენი სპორტული თუ გასართობი თამაში აქვთ: ლელო, ცხენბურთი, გაკვრაბურთი, ღორაობა, გაქცევაბურთაობა, საყებურთი, შეხლაბურთი, ბინაბურთი, წრებურთი, ხაზბურთი და ა.შ. ხოლო თუ ამას მთელ მსოფლიოში გავრცელებულ სპორტის თუ თამაშის სხვა სახეობებსაც დავუმატებთ, ასე რომ გაუთავისებია ქართველ კაცს, სულ არ გაგვიჭირდება იმის წარმოდგენა, თუ რა მოწყენა დაისადგურებდა საქართველოში, თავის დროზე ეს მრგვალი საგანი რომ არ გამოეგონებინათ, დრეკადი ან მკვრივი მასალისგან რომ მზადდება და ბურთი რომ ჰქვია.



ფრენბურთისა

# მარგალიტი, საფირონი, ლალი...



ადამიანი უძველესი დროიდან იჩენდა ინტერესს მინერალების, ძვირფასი ქვების, პატიოსანი თვლების მაგიური თვისებებისადმი. ამ ინტერესმა ჯერ აღმოსავლეთში – ინდოეთში, არაბეთსა და ეგვიპტეში გაიღვიძა. ჩვენ წელთაღრიცხვამდე VII-VI საუკუნეებში ფინიკიელთა წყალობით აღმოსავლეთის სიმდიდრეებს ბერძნები გაეცნენ. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის (336-323 წ. ჩვ. წ-მდე) შემდეგ ძვირფასმა ქვებმა ლამის მთელი საბერძნეთი წალეკა. ქვებით იყო დაინტერესებული დიდი არისტოტელე, რომელმაც მინერალებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, მისმა მოწაფემ თეოფრასტემ კი მთელი წიგნიც დაწერა – "ქვების შესახებ". ქვები შედიოდა ავლუს კორნელიუს ცელსიუსის მიერ (I ს. ჩვ. წ.- მდე) რეკომენდებულ სამკურნალო რჩევებში. დიდი ადგილი დაუთმო ქვების თვისებებს თავის 37 ტომიან "ბუნებრივ ისტორიაში" პლინიუს უფროსმა. მინერალების, ისევე როგორც ბალახებისა და ცხოველთა ნაწილების გამოყენება შედიოდა ორგანიზმის ოთხი ძირითადი სტიქიის – სისხლის, ფლეგმის, თეთრი და შავი ნაღველის თეორიაში. ამ ოთხი სითხის წონასწორობა ნიშნავდა ჯანმრთელობას, წონასწორობის დარღვევა – ავადმყოფობას. ექიმის მოვალეობა ამ წონასწორობის აღდგენა იყო.

ყველაზე მეტი მაგიური თვისებით გამჭვირვალე და კაშკაშა ფერის ქვებს აჯილდოებდნენ. თუ მაგიური ძალით არა, აბა რით უნდა აეხსნათ შორეულ წარსულში, ვთქვათ, ალექსანდრიტის ფერის ცვალებადობა ან ლალის საოცრად კაშკაშა ნათება? მეცნიერებმა ახლახანღა დაადგინეს, რომ ალექსანდრიტისა და ლალის ნათება ლაზერული ეფექტით აიხსნება. ხოლო სარდიონი და ქარვა მათი ბუნებრივი რადიოაქტიურობის წყალობით გვმატებენ ძალასა და ხალისს. მაგრამ ჩვენი წინაპრები მეცნიერულ მეთოდებს არ ფლობდნენ და უფრო გუმანით და დაკვირვებით ხელმძღვანელობდნენ. ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე უძველესმა რეცეპტმა მოაღწია. მაგალითად, აქლემის რძეში გარეულ დანაყილ ზურმუხტს აძლევდნენ საწამლავით მოწამლულ ადამიანს. მაგრამ ამ საშუალებაზე ყველას არც მაშინ მიუწვდებოდა ხელი და ამიტომ, როგორც წესი, ხმარობდნენ იმას, რაც ადგილზე მოიპოვებოდა. მაგალითად, ბალტიისპირეთში დიდძალი ქარვაა და აქაურები მას მრავალი ავადმყოფობის სამკურნალოდ იყენებდნენ. ქარვა იყო სიყრუის, გაციების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, გულის და კუჭის დაავადებების წამალი. დღეს ქარვას ამ ქვეყნებში ჩვილ ბავშვებსაც კი აძლევენ საღრღნელად, როცა კბილები ამოსდით. სამკურნალო ეფექტს იძლევა ქარვის მჟავა. იგი ანეიტრალებს სიგარეტის წევით გაჩენილ ფისებს, ამიტომაც ხმარობენ მწეველები ყველაზე ხშირად ქარვის მუნდშტუკებს.

ძვირფას და ნახევრადძვირფას ქვებს გააჩნია ფოსფორულობა, მაგნეტური თვისებები, ელექტრობა, გარკვეული თბოგამტარობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება ფიზიოთერაპიული ზემოქმედების ფაქტორი გახდეს.

და მაინც რით აიხსნება ქვების ზემოქმედება ადამიანზე? თურმე ნუ იტყვით, სხვადასხვა მინერალების, ძვირფასი თუ ნახევრადძვირფასი ქვების ზემოქმედება, უწინარეს ყოვლისა, მათი ფერით აიხსნება. ფსიქოთერაპევტები დიდი ხნიდან იყენებენ მათ სხვადასხვა ტკივილების დასაამებლად, ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ. ხანგრძლივი დაკვირვებით დადგენილია: წითელი – აღაგზნებს, ზრდის იმუნიტეტს, მაგრამ მის სიჭარბეს შეუძლია ნევროზი გამოიწვიოს. ყვითელი – ნერვულ სისტემასაც ამაგრებს და საჭმლის მონელებასაც აუმჯობესებს. მწვანე – "არ არის სხვა ფერი, რომელიც უფრო სასიამოვნო იყოს თვალებისთვის, ვიდრე ზურმუხტის ფერია..." – ეს ჯერ კიდევ კაიუს პლინიუს სეკუნდმა შეამჩნია. მწვანე ფერი ამშვიდებს, ხელს უწყობს რეგენერაციას, ანელებს გულისცემის რიტმს. ლურჯიც კარგი ფერია, ის ამაღლებს ორგანიზმის სასიცოცხლო ძალას და სტაბილურს ხდის ნერვული სისტემის მუშაობას. ნაცრისფერი კი მოსაწყენია, თუ თქვენ ცუდ ხასიათზე ხართ, ეს ფერი აპათიას იწვევს. არ გეგონოთ, ზღაპრები იყოს, ეს მეცნიერული მონაცემებია. ის კი ჯერჯერობით დაზუსტებით არ არის ცნობილი, თუ რაღა მაინცდამაინც ასე ზემოქმედებს ადამიანზე მინერალი, და

არა სხვაგვარად. ეს, შეიძლება ითქვას, საკითხის მაგიურ მხარეს განეკუთვნება.

ექსტრასენსებმა დაადგინეს, რომ ქვებს რაღაც მალოვანი ველი აქვს. თუ ასეა, მაშინ მათი ადამიანზე ზემოქმედების ნაწილობრივ ახსნა მაინც შეიძლება. გამოდის, რომ ეს ბიოველისა და ქვის ველის



ურთიერთქმედების შედეგია. ასეთი თვალსაზრისით ურთიერთკავშირი ადამიანი – ქვა ჯანმრთელობასთან მიმართებაში აბსურდულად სულაც აღარ გამოიყურება. მოდით, ისევ წარსულს მივუბრუნდეთ. ჩვენი წინაპრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ერთი და იგივე ქვის მუდმივად ტარება სასარგებლოა არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობისთვის, არამედ მისი ხასიათისთვისაც. ტყუილად ხომ არ ატარებდა თითქმის ყველა ამა თუ იმ თილისმას და ამულეტს. წინათ ქვას მისი მაგიური თვისებებიდან გამომდინარე არჩევდნენ. მაგალითად, ლალი ავიღოთ. ეს პირველი კლასის ძვირფასი ქვა, რომლის საბადოები ძირითადად ბირმაში, ავღანეთსა და ინდოეთში გვხვდება, სახიფათოა ემოციური და თავშეუკავებელი ადამიანებისთვის. ასეთებისთვის არც სხვა წითელი ფერის ქვებია რეკომენდებული. საქმე ის არის, რომ ლალი აძლიერებს ბუნებრივ უარყოფით თვისებებს და იმავდროულად მორიდებულ და გაუბედავ ადამიანს ენერგიას ჰმატებს. ლალი რუსეთის მეფის ივანე მრისხანეს საყვარელი ქვა იყო.

ძველად საფირონი ჭვრეტის, აზროვნების ქვად მიაჩნდათ. ეს ცისფერი ქვა ცის თაღის სიმბოლოდ აღიქმებოდა. საფირონს განსაკუთრებით რელიგიის მსახურნი აფასებდნენ. ერთ-ერთ ძველ სამკურნალო წიგნში ნათქვამია: "ვისაც ლაჟვარდოვანი იაგუნდი (საფირონი) ბეჭდის თვლადა აქვს, იგი მას სიმშვიდეს ჰგვრის და პატიოსანს, ღვთისმოსავსსა და შემწყალეს ხდის მას".

ურთიერთსაპირისპირო თვისებებისაა ოპალი. როგორც ამბობენ, ეს თვალი ვერცხლში ჩასმული სჯობია, მის ტარებას მეოცნებეებსა და მელანქოლიკებს ურჩევენ. ოპალი იმედებს უსახავს ადამიანს.

თუ საკუთარი არასრულყოფილების შეგრძნება გაწუხებთ, ზურმუხტი უნდა ატაროთ. ზურმუხტი დემონების წინააღმდეგ სჭრის. ამ ქვის ტარება ყველას შეუძლია, იმიტომ რომ ყველა საუკეთესო თვისების მასტიმულირებელია.

ქარვა კი ყველაზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. მას ლომის თანავარსკვლავედის ქვეშ დაბადებულებისთვის ბედნიერება მოაქვს. სხვებს კი ამ ქვის მუდმივად ტარებას არ ურჩევენ. განსაკუთრებით არასასურველია ქარვა კუროს თანავარსკვლავედის ქვეშ დაბადებულებისათვის. ასე მიაჩნიათ ასტროლოგებს.

ავი თვალის, გათვალვისაგან თავის დასაცავად კარგია მარჯანი. მარჯანი (ებრ. "მოკრძალებულობა") ჭრილობების, წყლულების შეხორცებასაც უწყობს ხელს, აძლიერებს მეხსიერებას და მკურნალობს გულს.

დღეს მოდაშია მარგალიტი (ინად "აყვავება"). ინდოელთა წარმოდგენებით მარგალიტი ინფექციებთან, მაღალ სიცხესთან, პირის ღებინებასთან, სიყვითლესთან ბრძოლაში ეხმარება ადამიანს. მაგრამ მარგალიტი ძალზე მომთხოვნი და ჭირვეულია. ის გულგრილი არ არის ადამიანის სუფთა, ჯანსაღი სხეულის სითბოსადმი. აი რატომ "ჭკნება" ასე სწრაფად მარგალიტი მშრალი კანის მქონე ხანდაზმული ადამიანების ხელში. თუ მფლობელი ავად არის და მისი კანი მდიდარია მავნე ანაორთქლებით, შეიძლება მარგალიტმა ფერი იცვალოს. მაგრამ ამბობენ, რომ სწორედ ფერის ცვლის წყალობით მოაქვს მარგალიტს ადამიანისთვის ჯანმრთელობა.

ნერვული დაავადებებისკენ მიდრეკილების მქონე ადამიანს შუა საუკუნეებში ექიმი ამეთვისტოს ტარებას ურჩევდა. მიჩნეული იყო, რომ აკვამარინი შველის ზღვის ავადმყოფობის დროს, ამიტომაც ზღვაზე სამოგზაუროდ მიმავალთ ამ გამჭვირვალე მოცისფრო-მომწვანო ქვის თან ქონას ურჩევდნენ. ალმასი და საფირონი კანის დაავადებებისაგან განგკურნავთ. ტოპაზი შმაგი ვნებებისგან დაგიხსნით, შეგიმსუბუქებთ ასთმის შეტევას და გემოს შეგრძნებას გაგიმახვილებთ. ამ ქვის ტარება გურმანებს უყვარდათ.

ვთქვათ, ადამიანს არც ზურმუხტი აქვს, და არც ლალი. რა ბედენაა?! ატარეთ ის, რაც მოგწონთ და რაც თქვენს გარეგნობას მოუხდება.

ახლა კი კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ წინაპრებს და ვნახოთ რას გვირჩევენ ისინი – გაიკეთეთ ესა თუ ის ქვა, თვალი, თითზე იქნება, ყელზე, მაჯასა თუ ყურში და წარმოიდგინეთ, რომ შებურული ხართ უხილავი ეთერით. წარმოსახვით შეისრუტეთ ქვის მეშვეობით ეთერი და მთელ სხეულში მიმოატარეთ იგი, შეაყოვნეთ ეთერი მტკივან ადგილზე და სწორედ აქ მოახდინეთ მისი კონცეტრირება. თუ ამ ვარჯიშს ყოველდღე გაიმეორებთ, ქვის მეშვეობით ეთერით სუნთქვას ისწავლით და ქვას დაემსგავსებით, დაუნათესავდებით და მაშინ უფრო ადვილად შეძლებთ მისი საშუალებით გამოჯანმრთელებას.



— რატომ ამალებ ბავშვს მუსიკის სწავლას, ხომ ხედავ, სმენა არა აქვს! — უსაყვედურა ფელიქსმა ცოლს.

— სმენა რად უნდა?! ჩემი ბიჭი კი არ მოისმენს, თვითონ დაუკრავს ხოლმე! — მიუგო მან.

☺ ☺ ☺

— ერთი მითხარი, ამ არითმეტიკის რვეულში რატომ არაფერი გიწერია? — ჰკითხა დედამ მონიკას.

— ეგ რვეული ზეპირი ანგარიშისთვისაა, დედიკო.

☺ ☺ ☺

— თქვენ წინაშე ძალიან იშვიათი სახეობის შიმპანზეს თავის ქალაა, — მიმართა პროფესორმა აუდიტორიას, — ასეთი თავის ქალა ჩვენს ქვეყანაში სულ ორია. ერთი ეროვნულ მუზეუმშია, მეორე — მე მაქვს.

☺ ☺ ☺

— ხომ კარგად შევაკეთე ჩვენი გუგულიანი საათი?

— ჩინებულად! დღეს გუგული სამჯერ გამოხტა და იკითხა: რომელი საათიაო?

☺ ☺ ☺

მოსწავლე შეეკითხა სურსათის მაღაზიის გამყიდველს:

— რა ღირს 1 კგ პური?

— ოთხი ფრანკი.

— ერთი კილოგრამი შაქარი?

— 12 ფრანკი.

— რამდენი ეღირება ორი კილოგრამი პური და ორი კილოგრამი შაქარი?

— 32 ფრანკი.

— მე თქვენ მოგცემთ 40 ფრანკს, თქვენ რამდენს დამიბრუნებთ?

— რვა ფრანკს.

— ჩამიწერეთ, რა ეს რვეულში. გამყიდველმა ჩაწერა.

— ინებე შენი რვეული, მაგრამ რისთვის გჭირდება ეს?

# სიცილის გაკვეთილი

— ეს ამოცანა სკოლაში მოგვცეს დავალებად, — უპასუხა გახარებულმა ბიჭმა და სკოლისაკენ გაიქცა.



☺ ☺ ☺

ძაღლების პატრონები საუბრობენ:

— წარმოიდგინე, ჩემი ასტორი თვითონ დადის გაზეთის საყიდლად.

— ვიცი, გუშინ ჩემმა რექსმა მიამბო.

☺ ☺ ☺

— მე დედის ცხვირი მაქვს და მამის თვალები, — თქვა ერთმა.

— მე კი პაპის შუბლი და ბიძის ყურები, — აღნიშნა მეორემ.

— მე უფროსი ძმის შარვალი მაცვია, — დასძინა მესამემ.

☺ ☺ ☺

— დღეს მასწავლებელმა მთხოვა მეპოვნა საერთო უმცირესი ჯერადი.

— ყოვლად შეუძლებელია! — გაუკვირდა მამას, — ნუთუ აქამდე ჯერ კიდევ არ უპოვიათ. მაგას ჯერ კიდევ ჩემი სკოლაში სწავლის დროს ეძებდნენ.

☺ ☺ ☺

ზოოპარკში პატარა პიერი ეუბნება მამას:

— მითხარი, მამა, დიდი ლომი რომ გამოხტეს გალიიდან და შეგსანსლოს, რომელი ნომერი ავტობუსით მივიდე სახლში?!

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: — პიერ, შენ ორი საათით დაიგვიანე, რატომ?

პიერი: — ჩემი ბრალი არ არის, პატივცემულო მასწავლებელო, მეორე სართულიდან გადმოვვარდი.

მასწავლებელი: — მერედა ამას ორი საათი მოუნდი?

☺ ☺ ☺

მათხოვარი ქუჩის კუთხეში იჯდა და გაიძახოდა:

— დაეხმარეთ უბედურს, რომელსაც დაბადებიდანვე ხის ფეხი აქვს...

☺ ☺ ☺

— ბებო, ძროხას სიმღერა შეუძლია?

— ნუთუ უფრო აზრიან კითხვას ვერ მოიფიქრებ?

— ბებო, როდის გარდაიცვალა მკვდარი ზღვა?

# სახელოვან ადამიანთა ეპიტაფიები

სახელოვან მეცნიერთა ცხოვრებისა და შემოქმედების წიგნში თითქმის ყოველთვის არის თითო გვერდი, რომელშიაც მოკლე ფრაზითაა შეფასებული ამ მეცნიერის ღვაწლი და მნიშვნელობა. ეს ფრაზა, ქვაზე თუ თუჯის ფირფიტაზე წარწერილი, ან საფლავზე ადევს განსვენებულს, ან მის ძეგლზეა მიმაგრებული.

**აი, ზოგიერთი მათგანი:**

**მზის შემჩერებელი – დედამიწის ამამოძრავებელი.** ასე აწერია ქალაქ ტორუნში აღმართულ ერთ ძეგლს. ეს **ნიკოლო კოპერნიკი** გახლავთ, ჰელიოცენტრული სისტემის შემქნელი.

**გამვლელო, ვინც უნდა იყო, ნუ შიშობ, რომ ეს პატარა ბელტი მძიმედ აწვება აქ დაკრძალული მერკატორის მკერდს, რადგან მთელი დედამიწაც ვერ იქნებოდა უსაშველო ტვირთი ადამიანისათვის, რომელმაც, ატლასის მსგავსად, მხრებით ზიდა მისი სიმძიმე.** ასე აწერია **გ. მერკატორის** – კარტოგრაფიის ფუძემდებლის საფლავის ქვას.

**ერთხელ ცა გავზომე, ახლა დედამიწის ჩრდილს ვზომავ. იოჰან კეპლერმა,** ციური მექანიკის კანონთა ჩამომყალიბებელმა, თვითონვე შექმნა თავისი ეპიტაფია.

**თავისი გონებით მან ადამიანთა მოდგმას აჯობა.** ეს სიტყვებია ამოკვეთილი დიდი ფიზიკოსის, **ისააკ ნიუტონის** ძეგლზე, რომელიც კემბრიჯშია აღმართული.

**ლაიბნიცის გენიას.** სულ ორი სიტყვაა წარწერილი ამ დიდი გერმანელი მათემატიკოსის საფლავის ქვაზე. ლაიბნაცმა, ნიუტონთან ერთად, შექმნა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა.




**მან ცას ელვა გამოსტაცა, ხოლო ტირანებს - კვერთხი.** ეს სიტყვები **ბენჟამენ ფრანკლინის** ბიუსტზეა წარწერილი. ფრანკლინი ბუნებისმეტყველი, მეხამრიდის გამომგონებელი, თავისუფლებისათვის თავგამოდებული მებრძოლი იყო.

**მან მოგვიახლოვა ვარსკვლავები.** ეს მოკლე, მაგრამ დიდებული ფრაზა **იოზეფ ფრაუნჰოფერის** საფლავის ძეგლზეა ამოკვეთილი. ფრაუნჰოფერმა შექმნა შესანიშნავი ოპტიკური ასტრონომიული ხელსაწყოები.

**ბოლოს და ბოლოს, ბედნიერი ვარ.** ამ ეპიტაფიის ავტორია **ა. ამპერი** – ელექტრობის შესახებ მოძღვრების ერთ-ერთი შემქმნელი. მან არ ისურვა, ეპიტაფიაში რამე თქმულიყო მის დამსახურებაზე.

დიდი მეცნიერები სიტყვების ენას ზოგჯერ ნახაზებისა და ფორმულების "ლექსიკას" ამჯობინებენ. **არქიმედეს** ანდერძით, მისი საფლავის ქვას დაახატეს სფერო და სფეროს გარშემო შემოხაზული ცილინდრი, რათა შთამომავლობას არ დავიწყებოდა ავტორი განთქმული შეფარდებისა: სფეროს მოცულობა შეადგენს მის გარშემო შემოხაზული ცილინდრის მოცულობის ორ მესამედს, ხოლო ამ სფეროს ზედაპირის ფართი იმავე ცილინდრის ფართის ორი მესამედის ტოლია. **ნ. უმოვმა,** რომელმაც ცხადყო, თუ როგორ გადაიცემა ენერგია მაგნიტურ ველში, ისურვა, რომ მისი საფლავის ქვაზე ამოეკვეთათ ენერგიის ნაკადის ფორმულა. **იოჰან ბერნულის** საფლავის ლოდზე ლოგარითმული სპირალის გრაფიკია ამოფრილი. **ფარადეიმ,** ამ გენიალურმა თვითნასწავლმა, ფანტასტიკურად მრავალმხრივმა მეცნიერმა, საერთოდ აკრძალა მისი საფლავის ქვაზე რაიმე ეპიტაფიის წარწერა. ხოლო **იანოშ ბოაიმ**, არაევკლიდური გეომეტრიის ერთ-ერთმა შემოქმედმა, ასეთი ანდერძი დატოვა: "არ დამიდგათ არავითარი ძეგლი, ჩემს საფლავზე მხოლოდ ვაშლის ხე დარგეთ სამი ცალი ვაშლის სახსოვრად: ორმა მათგანმა, ევას და პარისის ვაშლმა, ლამის ჯოჯოხეთად აქცია დედამიწა, მესამემ კი, ნიუტონისამ, იგივე დედამიწა ციურ სხეულთა სიმაღლეზე ატყორცნა".

# ორიგამი

ყველას გაგიკეთებიათ ქაღალდისგან თვითმფრინავი, ნავი, გარმონი, ბურთი თუ ჩიტი. ეს არც ისე ძნელი საქმეა. იაპონიაში კი იგი გადაიზარდა ჭეშმარიტ, ზოგჯერ მეტად რთულ ხელოვნებაში, რომელსაც ორიგამი ჰქვია. თავდაპირველად ქაღალდისგან დამზადებულ პატარ-პატარა ფიგურებს რელიგიური რიტუალების თუ დღესასწაულების დროს იყენებდნენ, მერე რიტუალური მნიშვნელობა გაქრა და ორიგამი ხელოვნებად იქცა. ორიგამისტი არც წებოს ხმარობს, არც მაკრატელს, მისი იარაღი საკუთარი ხელებია. ეს ხელოვნება დაკვირვებულობას მოითხოვს. თუ, ვთქვათ, თქვენ ქაღალდისგან ამა თუ იმ ფრინველის თუ ცხოველის გაკეთება გადაწყვიტეთ, ზედმიწევნით უნდა იცოდეთ არა მარტო მისი გარეგნობა, არამედ ხასიათი და თვისებებიც. ქაღალდისგან ყველაფრის გაკეთება შეიძლება — უბრალო ბაყაყიდან დაწყებული, მევიოლინეთი ან პიანისტით დამთავრებული. ორიგამის ხელოვნება ჩინეთში დაიბადა, თავისი გზა კი იაპონიაში გააგრძელა. დღეს ის მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია გავრცელებული.

სცადეთ, იქნებ თქვენც მოგეწონოთ ორიგამი. დაწყებით კი, გირჩევთ გედის ფიგურით დაიწყოთ.

მოკეცეთ, გაშალეთ

მოკეცეთ აღნიშნულ ხაზზე

ამოაბრუნეთ შიგნიდან

საფეხურებიანი ნაკეცი

------ შიდა გადანაკეცი

—·—·— გარე გადანაკეცი







● მომინაქრებულმა თუ უბრალო ლითონის ვედრომ რომ არ ირახუნოს და იჟღარუნოს, და, ამასთან, დიდხანსაც გემსახუროს, მის ძირს ძველი საავტომობილო კამერის გადანაჭერი ამოაცვი.



● შოკოლადის ნაკრების სადები ბუდე შეგიძლია გამოიყენო ნაირგვარი ბოსტნეულის თესლის აღმოსაცენებლად. ტენის შენარჩუნების მიზნით უჯრედებში ჯერ საშრობი ქაღალდის ნახევი ჩააფინე, ზედ თესლი დადე და ზემოდან ქსოვილის პატარა ნაჭერი ან მარლის ნაგლეჯი დააფარე.



● თუ გინდა, მოლიპულ გზაზე ფეხი არ დაგიცურდეს, ასე მოიქეცი: ფეხსაცმლის ლანჩა კარგად გაასუფთავე და გააშრე, მერე კი სილაშერეული წებო გადაუსვი. ოღონდ იცოდე, რომ წებოს მარკა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ლანჩის მასალას.



● ე.წ. "ჯანმრთელობის დისკო", ანუ სპორტული პლასტმასის "მფრინავი თეფში", შეგიძლია სხვა დანიშნულებითაც გამოიყენო, კერძოდ, როგორც ტელევიზორის მბრუნავი საყრდენი.



● ტელევიზორის, მაგიდის ნათურის თუ სხვა ელექტროხელსაწყოს დისტანციური ღილაკიანი ამომრთველი ჯობს უშუალოდ ამ ხელსაწყოს ჩანგალში მოაწყო. ისიც საქმეა, მთავარი გამტარის გაჭრა რომ არ დაგჭირდება.



● თუ გინდა, რომ წებოიან ბოთლს (სულ ერთია, მინისაა თუ პლასტმასისა) ხუფი ზედ არ მიახმეს, წინდაწინ ვაზელინი წაუსვი.

● სამგზავრო სასაპნე ძალზე მოსახერხებელია იმისათვის, რომ მისგან გასახეხი ინსტრუმენტი დაამზადო. გამოყენებული ზუმბარის ქაღალდის გამოცვლა რამდენიმე წამის საქმეა.



● ზაფხულობით, როცა ოჯახის ყველა წევრი არდადაგებზე ან შვებულებაში მიემგზავრება, დგება ოთახის ყვავილების წყლით უზრუნველყოფის პრობლემა. აი, ამ პრობლემის გადაჭრის ერთი ხერხი, რომელიც შეგიძლია შენც გამოიყენო: პოლიეთილენის პაკეტი წყლით გაავსე, თავი მაგრად მოუკარი, ძირში პატარა ნახვრეტი გაუკეთე და იმ ნახვრეტით ჩადგი ქოთანში. წყალი ნახვრეტიდან ნელ-ნელა გამოედინება და მშვენივრად დაატენიანებს ნიადაგს.



● ციკლოპებს, მინიატურულ წყლის ცხოველებს, ალბათ შენც იყენებ აკვარიუმის თევზების გამოსაკვებად. თუ აკვარიუმი რამდენიმე დღით მარტო უნდა დატოვო, მისი ერთი ნაწილი ნახვრეტებიანი (2-8 მმ დიამეტრის) ორგანული მინით გადაკეტე. ჰოდა, თევზების კვებაზე ნუღარ იდარდებ - ციკლოპები თანდათან გამძვრებიან ტიხარის მეორე მხარეს.



● ჭაღის რეცხვისას, რაც უნდა ბევრი ეცადო, საკიდარები მაინც ჩამოგიცვივა. თუ ჭაღი ბროლისაა, მით უფრო მეტი სიფრთხილე გმართებს. საკიდარები დამსხვრევას რომ გადაარჩინო, პაწია ეშმაკობის გამოყენება დაგჭირდება: ჭაღს ქვეშ წყლით სავსე პლასტმასის ტაშტი დაუდგი



● თუ ცანგიან ფანქარს გრიფელის ნაცვლად წამახულ ფოლადის მავთულს გაუკეთებ, მშვენიერი საჭრისი გამოგივა – ნაირგვარი აფსკის დასამუშავებლად.



# იწილოთ–მიწილოთ



**შვეულად**: 1. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 2. კურორტი საქართველოში; 3. სპორტის სახეობა; 4. ჭადრაკის ფიგურა; 6. ტბა საქართველოში; 8. სამი მუსიკოსისაგან შემდგარი ჯგუფი; 9. კურკოვანი ხილი; 11. მწერი; 12. ძველი საბერძნეთის ქალაქი; 14. შვილის შვილი; 16. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო; 22. მინანქარი ანუ? 28. ქართული ხალხური სპორტის სახეობა; 24. ბოსტნეული მცენარე; 27. მტაცებელი ფრინველი; 28. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 29. შავიზღვისპირა კურორტი; 31. "ბურატინოს თავგადასავლის" გმირი; 33. კონტინენტი; 34. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი.



რომელი ონკანი უნდა გადაკეტოს სანტექნიკოსმა დაზიანებული მილის შესაკეთებლად?

**თარაზულად**: 5. მასალა, რომელსაც კედლის შესათეთრებლად იყენებენ; 7. ძველებური ტრანსპორტი; 10. ტყის ნაყოფიანი მცენარე; 13. ციმბირის მდინარე; 15. სკანდინავიის ქალაქი; 17. აფრიკის მდინარე; 18. ყოფილი პიონერული ბანაკი ყირიმის ნახევარკუნძულზე; 19. ვოლგის შენაკადი; 20. ქართული ჟურნალი; 21. მტაცებელი ფრინველის ნაშიერი; 24. აზიის სახელმწიფო; 25. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ტომი; 26. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო; 30. საქართველოს მდინარე; 32. ცნობილი ესპანელი მხატვარი; 34. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი.



მარცხენა ნახატი მარჯვენისგან 30 დეტალით განსხვავდება, იპოვეთ ეს განსხვავებები.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ი | ბ | ა | ზ | ტ | მ | ი |
| ა | ს | ე | მ | ე | რ | ა | კ |
| ნ | ჩ | ფ | ი | ბ | ა | ს | ა |
| ი | მ | ♞ | რ | ი | დ | ვ | დ |
| ი | რ | ჯ | ე | ქ | რ | ლ | პ |
| თ | ნ | ე | ქ | თ | მ | ი | ა |
| რ | ნ | შ | ნ | მ | რ | ი | ო |
| ი | ა | ა | ა | ე | მ | ს | ი |

**წინა ნომერში დაბეჭდილი თავსატეხის პასუხია:**
ბედი ქართლისა, ფიქრნი მტკვრის პირას, მერანი, შემოღამება მთაწმინდაზე, ჩინარი.

# მსოფლიოს ყველა ვარსკვლავი

